

სომხეთის ელჩი დედოფლისწყაროს ენვია

31 მარტს სომხეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში აშოტ სმბატიანი ოფიციალური ვიზიტით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს ესტუმრა. ვიზიტის ფარგლებში დიპლომატი მუნიციპალიტეტის მერს ნიკოლოზ ჯანიაშვილს შეხვდა.

მერიის ადმინისტრაციულ შენობაში გაცნობითი სასაათის შეხვედრის შემდეგ ელჩი მერთან და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან, გოჩა სამუკაშვილთან ერთად სოფელ საბათლოს ენვია, სადაც ეთნიკურად სომეხი ეროვნების მოქალაქეები ცხოვრობენ. სოფლის სკოლაში სომხეთის ელჩმა შეხვედრა გამართა ადგილობრივებთან, სკოლის აღსაზრდელებთან და უპასუხა მათ შეკითხვებს. მერმა ელჩს საზღვრისპირა სოფელში რამდენიმე თვის წინ გახსნილი ახალი ბიბლიოთეკა და საბავშვო ბაღის შენობები დაათვალიერებინა.

აშოტ სმბატიანმა კმაყოფილება გამოთქვა საბათლოში გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობების გამო და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას მადლობა გადაუხადა. „უკანასკნელ წლებში ამ სოფელში ძალიან ბევრი რამ

გაკეთდა. მათ შორის, გზები, ბუნებრივი გაზი, საბავშვო ბაღი და სხვა. უნდა ითქვას, რომ დღეს საბათლოში ნამდვილად არის ღირსეული საცხოვრებელი პირობები, თუმცა ჩვენ, რა თქმა უნდა, არ გავჩერდებით და ინფრასტრუქტურის განახლებას აქტიურად გავაგრძელებთ“ – აღნიშნა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

„ელჩის სტუმრობამ ძალიან გავგახარა, ჩვენი სამშობლო საქართველოა, მაგრამ ასეთი ყურადღების გამოსატყა სასიამოვნოა ჩვენითვის. ელჩი კმაყოფილი იყო, როცა გაიგო და საკუთარი თვალით ნახა, რა გაკეთდა ჩვენს სოფელში.“



რამდენიმე თვეში ბევრი ახალი ობიექტი გაიხსნა, გარემონტებულია სკოლა. ვინც დიდი ხანია სოფელში არ ყოფილა და სადმეა ნასული, არ სჯერა, იმდენი რამ შეიცვალა უკეთესობისკენ. აქ გაზი არასოდეს ყოფილა და ამას ვერც წარმოვიდგენდით, რომ ბუნებრივი აირს გამოიყენებდნენ ამხელა გზაზე.“ – აღნიშნავენ საბათლოელები.

დედოფლისწყაროში ჩამოსვლამდე აშოტ სმბატიანი თელავში იმყოფებოდა, სადაც ის კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულს გიორგი ალადაშვილს და თელავის



მუნიციპალიტეტის მერს ლევან ანდრიაშვილს შეხვდა. დიპლომატიან შეხვედრაზე, რომელიც გაცნობითი სასაათის ატარებდა, საუბარი შეეხო საქართველო-სომხეთის შორის არსებულ, კეთილმეზობლურ ურთიერთობას, მხარეებმა იმსჯელეს საერთო თანამშრომლობაზე და ერთობლივი პროგრამების განხორციელებაზე - განათლების, კულტურის და სპორტის მიმართულებით.

სოფელი საბათლო ქალაქ დედოფლისწყაროდან 70 კილომეტრითაა დაშორებული და მდ. ალაზნის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. 1918 წელს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში მუსავატელებმა 36 სოფლის სომხური მოსახლეობა აყარეს და ბედის ანაბარა დატოვეს. ლტოლვილ სომეხთა დიდი ნაწილი 1922 წელს მდინარე ალაზნის მარჯვენა მხარეს წითელწყაროში ჩამოსახლდა. დასახლებას მათ თავიანთი მშობლიური სახელი, საბათლო უწოდეს, ხოლო, რადგან ამ დროს წითელწყაროც ახალი გასაბჭოებული იყო, შემდეგ სოფელს წითელი საბათლო დაარქვეს. ბოლო მონაცემებით საბათლოში 2014 წლისთვის 400-მდე ადამიანი ცხოვრობდა, ადგილობრივთა 75% სომეხია.

ილია მარტყოფლიშვილი

სორბლის მხარმოებალთა გზავნილი მთავრობას

დედოფლისწყაროსა და სიღნაღის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ხორბლის მწარმოებლები საკმაოდ მძიმე ვითარებაში აღმოჩნდნენ. როგორც ისინი აცხადებენ, 2022 წელს მოყვანილი და დასაწყობებული ხორბალი უფუჭდებათ, რეალიზაციას კი მარცვლეულის დაბალი ფასის გამო ვერ ახერხებენ. მათ ერთობლივი ვიდეომიმართვა ჩაწერეს და დახმარების თხოვნით საქართველოს მთავრობას მიმართეს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არხილოსკალოში მცხოვრები პაატა ზვინაძეაური აცხადებს, რომ აღნიშნული პრობლემის მოგვარების ერთ-ერთი გზა მთავრობის დახმარებაა.

„მარცვალში მომყავს, ქერი, ხორბალი და მაქვს სასაწყობო მეურნეობა. 2022 წლის მოსავალი გასაყიდა. წინა წლებში ამ დროს მოსავალი უკვე გაყიდული მქონდა. წელს ისეთ ფასებს გვთავაზობენ, რომ ხარჯებდაც ვერ დავფარავთ. ნაწილი მარცვალში შევიძინე ნათესავებისგან, მათაც დავხმარე, მაგრამ რეალიზაციის პრობლემა შემექმნა. ამ დროისთვის სასაწყობოში ქერი მიყრია, რომელიც ზიანდება. როდის გაიყიდება არას შემომთავაზებენ, არ ვიცი. იმ ფასად მაინც ზომ უნდა გავიღოთ, რომ ხარჯები ავანაზღაუროთ. ასე თუ გავგრძელებ, გლესს აღარ ექნება სურვილი, რაზე დათესოს და მოიყვანოს. მითუმეტეს, ყველაფერი გაძვირდა-მუშახელი, აგროქიმიკატები, მინის მოვლა-დაბუშავება. გვირდა გვერდში დგომა, რომ სტიმული არ დაიკარგოს ხალხში.“

მარცვალის მწარმოებელთა ასოციაციის ხელმძღვანელი ნიკოლოზ ბენიაიძე პრობლემის მოგვარების ორ გზას ხედავს.

ნიკოლოზ ბენიაიძე: „მოსავლის აღებადღე დარჩენილია ორი თვე. საწყობები კი ისევ საესეა მარცვლეულით. არის ორი გამოსავალი - ერთი, რომ დაუწესდეს ფქვილს საპირწონედ ის გადასახადი, რაც რუსეთის დამატებით აქვს ხორბალზე დაწესებული, ან მეორე-მობედეს ხორბლის სუბსიდირება“. ცნობისთვის, ნისქვილკომბინატები დამაბალანსებელ გადასახადს მხოლოდ 7000 ტონა ფქვილზე ითხოვენ.

მანამდე კახელი ფერმერების გაჭირვება სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფერმერთა და მარცვლეულის მწარმოებელთა ასოციაციებმა გააცნეს. სოფლის მეურნეობის მინისტრმა იოსებ შამუგია რამდენიმეკვირიანი მოთხოვნების შემდეგ მხარობლებსა და მენისქვილეების შეთანხმებას უარით უპასუხა და განაცხადა, რომ რუსეთთან ხორბლის იმპორტის დაწესებული ბაჟის დამაბალანსებელ გადასახადს რუსული ფქვილის იმპორტზე ვერ დაანესებდა. დარგი ამ მოთხოვნით ხელისუფლებას ნისქვილკომბინატების ამუშავებისა და ხორბლის მწარმოებელი ფერმერების დაგროვილი მარაგების რეალიზების მიზნით მიმართავდა და გარანტიას იძლეოდა, რომ ფქვილზე დამაბალანსებელი გადასახადის დაწესებით პური არ გაძვირდებოდა. მინისტრმა ისიც თქვა, რომ ხორბლის თვითმწარმოებელთა 50%-მდე გაზრდა ქვეყნისთვის პრიორიტეტად რჩება და მეხორბლეებს ოპტიმიზისკენ მოუწოდა. ოთარ შამუგია დარწმუნებით ამბობს, რომ ნისქვილები მალე ამუშავდება

და ფერმერები დარჩენილი ხორბლის ჩაბარებას შეძლებენ. ის იმასაც აღნიშნავს, რომ მთავრობამ, გასულ წელს, ფერმერების მხარდაჭერისთვის და ხორბლის თვითმწარმოებელთა გაზრდისთვის, იაფი სესხი შესთავაზა, რამაც მეხორბლეებს მარცვლეულის მაქსიმალურად დიდ ფართობებზე დათესვის შესაძლებლობა მისცა. მთავრობის სხვა ღონისძიებებიც გაიკვირა, რომ ხორბლის ექსპორტზე დაწესებული ბაჟი, რომელსაც დადგენილებით ივლისამდე უნდა ემოქმედა, ვადაზე ადრე, რამდენიმე დღეში გაუქმდებოდა. ხელისუფლების პოზიციას არ ეთანხმებიან მარცვლეულის მწარმოებელთა ასოციაციამ. უფრო მეტიც, ფერმერთა გაერთიანებაში ამბობენ, რომ დარჩენილი ხორბლის მარაგების რეალიზებას იმ შემთხვევაში შეძლებენ, თუ სახელმწიფო დაახლოებით 30 000 ტონა ხორბლის ჩაბარებისას 1კგ-ზე 20-25 თეთრით დაასუბსიდირებს. ამის შესახებ მარცვლეულის მწარმოებელთა ასოციაციის ხელმძღვანელმა ნიკოლოზ ბენიაიძემ განაცხადა. „ჩვენ მენისქვილებმა გვითხრეს, რომ 15-20 ათას ტონაზე მეტ ხორბალს ვერ იყიდონ ახალი სეზონის დაწყებამდე, რადგან მეტის გადაბუშავებას ვერ მოახერხებენ. ისინი 1 კგ ხორბალში დაახლოებით 55 თეთრს გვთავაზობენ, რაც ჩვენი ხორბლის მოყვანისთვის ჩადებული თანხის თვითღირებულებაზე ნაკლებია. 55 თეთრად როგორ გაყიდოთ... ეს არის დაქვევა. ამიტომ მთავრობას ვთავაზობთ 1კგ-ზე 20-25 თეთრით დაასუბსიდირონ, რომ ნისქვილებმა ჩაბარება დაიწყონ, ფერმერებმა გაყიდვა და გადავარჩინონ მარმანდელი მოსავალი. ამ ეტაპისთვის ახალი სეზონის მოახლოებასთან ერთად საწყობებზე არ არის თავისუფალი“, – განმარტა ბენიაიძემ. მისი თქმით, მთავრობის მხრიდან გასულ წელს განუყოფელი მხარდაჭერა ფერმერებს ტვირთად დასწავთ, რადგან ჩაუბარებელი მოსავლის პირობებში იაფი სესხით ალბულ საბანკო ვალდებულებებს ვერ უმკლავდებიან. „საკითხი ღიად არის დარჩენილი, პასუხიც არ დაუბრუნებიათ ბოლომდე. კარგად იცინა, რომ მოყვანაც 100%-ით არის გაძვირებული და ხორბალიც გასულ წელთან შედარებით 100%-ით არის გაიფუჭებული და თვითღირებულებაზე ნაკლებ ფასად მისი გაყიდვით საბანკო ვალდებულებებს ვერ დავფარავთ. შეგვაცდინეს, მოგვაცვინეს და იძულებული ვართ 55 თეთრად გაყიდოთ, მთლიანად



გაკოტრდით და მინაც დავკარგოთ. გასულ წელს ხორბალი ამ დროს 1.10 ლარი ღირდა – დაეთესეთ მაგ ფასად და ახლა 55 თეთრად უნდა გაყიდოთ. ვალს ვერ გავისტუმრებთ, თორემ გაყიდვით ამ ფასად. საექსპორტო შეზღუდვაც მოხსნეს, მაგრამ იქაც 55 თეთრი ღირს და არ გვიღირს. თვითღირებულებით მაინც რომ ჩავაბაროთ, საწყობებს გაუთავისუფლებთ და ვალის ნაწილსაც გადავიხდით“, – აღნიშნა ბენიაიძემ.

სახელმწიფომ ხორბლის ექსპორტზე დაწესებული შეზღუდვის მოხსნის გადაწყვეტილება ვადაზე ადრე მიიღო. შეზღუდვა, რომელიც ივლისამდე უნდა ყოფილიყო ძალაში, მალე მოიხსნება. მიზეზი კი ფერმერების პროტესტია, რომლებიც პროდუქციის რეალიზაციას ვერ ახერხებენ.

„ხორბლის და ქერის ექსპორტის შეზღუდვის შეწყვეტა 2021 წლის ზაფხულში მიღებული გადაწყვეტილება არსებული ვითარებიდან გამომდინარე მივიღეთ და მიზნად ისახავდა, ქვეყანაში წარმოებული პროდუქცია მთლიანად მოხმარებოდა ადგილობრივ მოთხოვნას. სასურსათო უსაფრთხოების რისკების გათვალისწინებით, ეს გადაწყვეტილება იყო გამართლებული. შემდეგ, რამდენიმე თვეში, ქერთან მიმართებაში ეს შეზღუდვა მოხსენით. დღეს, არსებული ვითარების ანალიზით, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ხორბალთან მიმართებაშიც მოხსნას შეზღუდვა“, – განაცხადა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ შამუგია.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, მიღებული გადაწყვეტილება ხელს შეუწყობს ფერმერებს, თავისუფალ სავაჭრო ურთიერთობებში, თავისუფალ სავაჭრო სივრცეში მოახდინონ არსებული ხორბლის რეალიზაცია, რადგან სასურსათო უსაფრთხოების ნაწილში არ დგას არანაირი უზრუნველყოფის რისკი. ქვეყანაში არსებობს როგორც ფქვილის, ასევე ხორბლის მარაგები, დაახლოებით, 2-3 თვის; 3 თვის შემდეგ კი, ახალი მოსავალი მოვა.

საქსტატის მონაცემებით, 2014 წელს საქართველომ ექსპორტზე ყველაზე მეტი 2.3 მლნ აშშ დოლარის 7 775 ტონა ხორბალი გაიტანა, რომელიც სრულად სომხეთში გაყიდა. 2015 და 2017 წლებში ექსპორტი არ განხორციელებულა, 2016 წელს კი, საქართველომ 70.2 ათასი აშშ დოლარის 74 ტონა ხორბალი აზერბაიჯანში გაყიდა. 2018 წელს 10.1 ათასი აშშ დოლარის 51.5 ტონა პროდუქტი სომხეთში, მინიმალური ოდენობა 0.90 ტონა კი გერმანიაში. 2019 წელს 167.3 ათასი აშშ დოლარის 698 ტონა ადგილობრივი ხორბალი აზერბაიჯანში გაიყიდა. ექსპორტი არც 2020 წელს განხორციელებულა. 2021 წელს, აკრძალვის დაწესებამდე კი, საქართველომ 324.9 ათასი აშშ დოლარის 1 316 ტონა ხორბალი სომხეთში გაყიდა, 10.8 ათასი აშშ დოლარის 40 ტონა ხორბალი კი – უკრაინაში.

ცნობისათვის, წლის განმავლობაში საქართველო 700-800 ათას ტონა ხორბალს მოიხმარს. აქედან მხოლოდ 10-15%-ია ადგილობრივი წარმოების, თუმცა ხელისუფლება უახლოეს წლებში ამ მაჩვენებლის 50%-მდე გაზრდას გეგმავს. მარცვლეულის იმპორტის 70% რუსეთზე მოდის. დანარჩენი ქვეყანას ყაზახეთიდან, უკრაინიდან და აშშ-დან შემოაქვს. თუმცა, რუსეთის ზემოთ აღნიშნული რეგულაციის გამო, ხორბლის იმპორტი თითქმის სრულად ჩანაცვალა ფქვილმა.

ივანე შიოლაშვილი

«ჭადრაკს აქვს ძალა, ბაახაროს აღამიანი»

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ჭადრაკის მოყვარულებმა იციან, რომ ჩვენთან ჭადრაკის კლუბი (ხელმძღვანელი: გიორგი კიკილაშვილი) ფუნქციონირებს. მისი აღსაზრდელები სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფს წარმოადგენენ. დღევანდელი მონაცემებით, კლუბში სულ 18 მოსწავლეა განვერიანებული.

ჭადრაკის განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით, 6 აპრილს, დედოფლისწყაროს ლეგენდარული მოჭადრაკე, ხუთგზის ოლიმპიური ჩემპიონი ნანა იოსელიანი ესტუმრა. საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია კახეთის ჭადრაკის ფედერაციასთან ერთად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში რეგიონული ტურნირის ჩატარებას გეგმავს. ამასთან დაკავშირებით ნანა იოსელიანი, ჭადრაკის კახეთის ფედერაციის პრეზიდენტი გიორგი ქიტცხაშვილი და ამავე ფედერაციის გენერალური მდივანი გიორგი კიკილაშვილი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს ნიკოლოზ ჯანიაშვილს შეხვდნენ.

„მოხარული ვარ ჩვენს მუნიციპალიტეტში ისეთი სახელოვანი და საამაყო მოჭადრაკის სტუმრობით, როგორც ქალბატონი ნანა იოსელიანია. ვფიქრობ, ჩვენი შეხვედრა ნაყოფიერ ურთიერთთანამშრომლობას ჩაუყრის საფუძველს“. განაცხადა შეხვედრაზე ნიკოლოზ ჯანიაშვილმა. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ რეგიონული ტურნირი მიმდინარე წლის მაისში ჩატარდება, სადაც მოჭადრაკეები კახეთის რვავე მუნიციპალიტეტიდან მიიღებენ მონაწილეობას.

შეხვედრამდე ნანა იოსელიანი და გიორგი ქიტცხაშვილი ჭადრაკის კლუბის აღსაზრდელებს და დედოფლისწყაროს წმ.მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის საპატრიარქოს სკოლა-ინტერნატის პირველი კლასის მოსწავლეებს შეხვდნენ.

შეხვედრაზე საჩვენებელი თამაშები და მცირე მასტერ-კლასიც გაიმართა, სადაც საერთაშორისო ოსტატმა პრაქტიკული რჩევები და რეკომენდაციები მისცა პატარა მოჭადრაკეებს.

გაზეთი „შირაქი“ ესწრებოდა აღნიშნულ შეხვედრას და პირადად გაესაუბრა ჭადრაკის დიდოსტატს, ნანა იოსელიანს: „ჩემი აზრით ჭადრაკი ერთ-ერთი ყველაზე კარგი დისციპლინაა ბავშვებისთვის. რა თქმა უნდა, რაიმე სახის კონკურენცია ვერ წარმოიდგენია ხატვას, ცეკვასა და ჭადრაკს შორის. მაგრამ, თავისთავად, ჭადრაკი ბავშვს სძენს ისეთ პიროვნულ თვისებებს, რომელიც მართლა უნიკალურია და მთელი ცხოვრება გამოადგება. სხვათაშორის, ძალიან ბევრ ქვეყანაში, ახალგაზრდებს უმალესში სწავლის დროსა და შემდგომ კარიერაში პატივს სცემენ იმის გამოც, რომ ჭადრაკი იციან. შეიძლება ითქვას, რომ ეს ერთადერთი სპორტია, სადაც ბავშვი დამოუკიდებლად აზროვნებს, დამოუკიდებლად აგვარებს პრობლემას, რაც ბევრ საქმეში გამოადგება. აქ ბავშვს მშობელი ვერ დაეხმარება. რა თქმა უნდა, შეუძლებელია, რომ ყველა ბავშვმა ითანამოს ჭადრაკი, მაგრამ სასურველია, რომ ყველა ბავშვმა იცოდეს ჭადრაკის შესახებ. ძალიან მიყვარს ბავშვები, ჩემი ჩამოსვლიც მიზანიც ისაა, რომ კახეთის რეგიონში გამორჩეულ დედოფლისწყაროშიც ჩავატარო ბავშვებისთვის ტურნირები და შეჯიბრებები. ბატონი გიორგი კიკილაშვილი სწორედ ამ საქმეს ემსახურება და მისი დახმარების დიდი სურვილი გვაქვს. რაც მთავარია, ეს არ სჭირდება უფროსს, ეს სჭირდება ბავშვს. ვფიქრობ, სწორედ მათთვის ბევრი ლამაზი ღონისძიება გაიმართება“.

გიორგი კიკილაშვილი, ჭადრაკის კლუბის ხელმძღვანელი: „დღეს ჩვენი



სტუმარია ჭადრაკის დიდოსტატი, ხუთგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ნანა იოსელიანი, რომელიც ამჟამად კახეთის რეგიონს კურირებს ჭადრაკის განვითარებისა და პოპულარიზაციის თვალსაზრისით. დღეს დღეობით ჭადრაკის კლუბში განვერიანებულია სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის 18 ბავშვი, თუმცა, ძირითადად, უნდა გამოვყო ორი ჯგუფი - ერთი ის ჯგუფია, რომლის წევრებსაც უკვე აქვთ ტურნირებში მონაწილეობის უნარი, შესაძლებლობები და გამოცდილება, მეორე კი - ის ბავშვები, რომლებიც მომზადების ფაზაში არიან. რესპუბლიკის მასშტაბით უამრავი ტურნირი იგეგმება, თუმცა, სამწუხაროდ, მუნიციპალიტეტში ამ კუთხით აქტიურობა დაბალია. მიზანიც სწორედ ესაა - უკეთ შევძლოთ ჭადრაკის პოპულარიზაცია ჩვენს მშობლიურ მუნიციპალიტეტში“.

თაა უჩაშა, დედოფლისწყაროს წმ.მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის საპატრიარქოს სკოლა-ინტერნატის ჭადრაკის მასწავლებელი: „დღევანდელ შეხვედრაზე ჩვენი ბავშვების დასწრებას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. აუცილებელი და სასურველია, რომ ისინი ცნობილ და დიდ მოჭადრაკეებს იცნობდნენ. როგორც ვიცით, სკოლებში წელს პირველად დაინერგა ჭადრაკის სწავლება (პირველ კლასში). მასწავლებლებმა გავიარეთ ტრენინგები, ჩავატარეთ შესაბამისი გამოცდა და მხოლოდ ამის შემდეგ მოგვეცა სწავლების უფლება. უნდა აღვნიშნო, რომ ბავშვები საგაკვეთილო პროცესში აქტიურად არიან ჩართულები. ამ ეტაპზე ჩვენ გავდივართ თეორიულ მასალას, როგორც რეკომენდაციებშია მითითებული. ხოლო თეო-

რიული მასალის დასრულების შემდეგ, გადავალთ პრაქტიკულ მეცადინეობებსა და ვარჯიშზე. ვისაც აქვს სურვილი, რომ გაძლიერდნენ სპორტის ამ სახეობაში, ისინი ჭადრაკის კლუბში კლასგარეშე მეცადინეობებსაც ესწრებიან. გოგონებიც და ბიჭებიც თანაბრად მოტივირებულიები არიან“.

ნინო კვინიანაშვილი, მშობელი: „ჩემს შვილს, სალომეს, პანდემიის პერიოდში გაუჩნდა ჭადრაკის შესწავლის სურვილი. თავიდან წინააღმდეგი ვიყავი, ვშიშობდი, შესაბამისი რეგულაციები რამდენად იქნებოდა დაცული. ვფიქრობდი, დროთა განმავლობაში ეს სურვილი გადაუფლავდა, მაგრამ პირიქით მოხდა. შეჯიბრებებში აქტიურად ვმონაწილეობთ. ახლაც, აპრილის ბოლოს, დაგეგმილია საქართველოს 10 წლიანთა ერთკვირიანი ტურნირი, სადაც ვაპირებთ მონაწილეობას. უკვე მეორე წელია დიდი ენთუზიაზმითაა ჩართული ჭადრაკის შესწავლის პროცესში“.

ჭადრაკი ერთ-ერთი უძველესი ინტელექტუალური თამაშია, რომელიც აზროვნებისა და ლოგიკის განვითარების ძალიან კარგ შესაძლებლობას იძლევა. მასში ორგანულადაა შერწყმული ხელოვნების, მეცნიერებისა და სპორტის ელემენტები. იმედი გვაქვს, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ბავშვებსა და ახალგაზრდებს გაუჩნდებათ მეტი ინტერესი, აქტიურად ეზიარონ ამ ინტელექტუალურ თამაშს, მიიღონ მეტი სიამოვნება და სიხარული ჭადრაკის თამაშის პროცესისგან.

შუშუნა ყანაშვილი
სათუნა ბანაშვილი




სამშობლოს სიყვარული საკუთარი კუთხიდან იწყება

„ახალი საუკუნე - ახალი ღირებულებები. რას მოგვიტანს იგი, რას გვასწავლის, რას დაგვავიწყებს. ჩვენ ის უნდა ვიცოდეთ, რისი დაკარგვა და დაკარგვაც არ შეიძლება. ალბათ, არც იმის დაკარგვა შეიძლება, რამაც აქამდე მოგვიყვანა, რამაც დაგვიტოვა უფლება და საშუალება, რომ ქართველები გვერქვას“ - ასე დაიწყო 4 აპრილს გამართული ღონისძიება დედოფლისწყაროს წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატის მოსწავლეებმა. შეხვედრა პროექტის „უკეთ გავიცნოთ საკუთარი კუთხის“ ფარგლებში ჩატარდა.

ყოველივე ზემოთ თქმულმა, მოსწავლეებს გადაანყვებინა მოქიებინათ მასალები სოფელ არბოშიკსა და მისი წიაღიდან აღმოცენებული ცნობილი ადამიანების შესახებ. მოსწავლეებმა წარადგინეს პრეზენტაცია იმერეთის ქიზიყელი (არბოშიკელი) მიტროპოლიტის გიორგი ალადაშვილისა (1850-1924) და მისი ძმისშვილი აკადემიკოს ალექსანდრე ალადაშვილის (1876-1950) შესახებ, რომელიც ქართული სამედიცინო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი გახლდათ. ღონისძიების იდეის ავტორი და ორგანიზატორი ახალგაზრდულ საქმეთა ცენტრის სპეციალისტი ნინო ალადაშვილი გახლდათ: „ახალგაზრ-

დულ საქმეთა სამსახური მუნიციპალიტეტის სკოლების მოსწავლეების ჩართულობით ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს და პროექტებს. მოხარულები ვართ, რომ ამ სკოლის მოსწავლეებთანაც შედგა ჩვენი კომუნიკაცია. დღეს წარმოდგენილი იყო პროექტი „უკეთ გავიცნოთ ჩვენი კუთხე“, რომელიც საკუთარი მხარის და მუნიციპალიტეტის, მისი ღირსეული შვილებისა და წინაპრების შესახებ ინფორმაციის მოპოვებასა და უკეთ გაცნობას ემსახურება. ამჯერად წარმოდგენილი იყო ინფორმაცია სოფელ არბოშიკის შესახებ, სოფელი თავისი ტაძრებით და ცნობილი არბოშიკელებით“.

შეხვედრაზე შეკრებილ საზოგადოებას გააცნეს ინფორმაცია წმინდა ივლიტასა და კვირიკეზე, მათივე სახელობის ტაძარზე, ხომხელის წმინდა გიორგისა და



დამბადებლის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრებზე. პრეზენტაციები წარადგინეს: ლუკა ყაჭაშვილმა, რატი გიგაურმა, ლაშა საყვარლიშვილმა, მარიამ პატაშვილმა, მარიამ პოპიაშვილმა, ლაშა ლორაშვილმა, მარიამ ჯანყოშვილმა, ნინო ნატროშვილმა.

„დიდი მადლობა წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის



„ერი, რომელიც იგივეებს წარსულს, მას ვერ ექნება მომავალი“



სახელობის სკოლა-ინტერნატის დირექტორს-თეა სხირტლაძეს, პედკოლექტის და მოსწავლეებს ჩართულობისა და დახმარებისათვის“ - აღნიშნა იდეის ავტორმა და ორგანიზატორმა და თითოეულ მონაწილესა და დამსწრე საზოგადოებას წმ.ივლიტასა და კვირიკეს მცირე ხატი გადასცა. შეხვედრას ესწრებოდნენ მერიის კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი თამარ თამაზაშვილი, დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის წინამძღოლი მამა ნიკოლოზი, მედიისა და საზოგადოების სხვადასხვა სფეროს დაინტერესებული წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

არბოშიკი ქიზიყის ძველთაძველი სოფელია. ხეცს გაღმა-გამოღმა ფერდობზე ლამაზად შეფენილი, გამორჩეული თავისი გარემოთი და მცხოვრებლებით. მან ესტაფეტა სხვა სოფლებს გადასცა, იმ ადამიანების გასახსენებლად, რომლებიც ქმნიდნენ და მომავალშიც შემქნა ჩვენი, მშობლიური და ლამაზი კუთხის - დედოფლისწყაროსა და ქიზიყის ისტორიას.

შუშუნა ყანაშვილი

„თუ საქართველო არ იქნება თავისუფალი“...

ყოველ 9 აპრილს ჩემში 16 წლის გოგონა იღვიძებს, საქართველოს სიყვარულით გულანთებული და იმედებით სავსე... ყოველ 9 აპრილს მოგონებები მახსენებს თავს-სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლი ახალგაზრდების ჩამურხალი სიცოცხლე, მაგრამ ჩაუკლავი სურვილი და სწრაფვა დამოუკიდებლობისკენ...

ერთ ღამეში შეცვლილი რეალობა-ჩვენი ერთმონებრე ძმების შურისძიება თავისუფლების სურვილისათვის და მათი ნამდვილი სახე... გენერალი როდინოვი იქცა კოლექტიური რუსეთის სახედ და ხატად. მერე იყო მოსწავლეების გულწრფელი სოლიდარობა უდაბნაშულო მსხვერპლთა მიმართ და უარი საქმითა სიმბოლიკას-ყელსახვევს და კომკავშირის ნიშანს... მერე დღეს არავის ჰქონდა შიშის განცდა-მამხინდელი ლენინის მოედანი ტიტებს მოეფინა, სიონის ეზო სავსე იყო ხეებზე გაკრული პატრიოტული ლექსებით... საყოველთაო გლოვამ მთელი ქვეყანა გააერთიანა. ტრაგედიაზე პასუხისმგებლობა აიღო და გადადგა მამხინდელი ცეკას გენერალური მდივანი ჯუმაშვილი. 9 აპრილი გახდა წყალგამყოფი საბჭოთა საქართველოსა და თავისუფალ საქართველოს შორის.

ხელმძღვანელ იგორ როდინოვის თაოსნობით, ამტიკივებდნენ, რომ ჯარისკაცები იყვნენ ისინი, ვინც თავს იცავდნენ მშვიდობიანი მომიტინგეებისგან. სსრკ-ს მთავარი სამხედრო პროკურორი ალექსანდრე კატუშევი ამბობდა, რომ „18 ადამიანის, მათ შორის, ქალების გარდაცვალების მიზეზი მხოლოდ მტრული გაცხად“.

აღსანიშნავია, რომ შინაგანი ჯარის სარდლობამ ცრემლსადენი გაზის გამოყენება ოფიციალურად მხოლოდ 13 აპრილს აღიარა, ხანგრძლივი დროის განმავლობაში უარყოფდნენ მესანგრეთა ნიშნების გამოყენებასაც, თუმცა დებინდებოდა ციულმა პროპაგანდამ მომიტინგეების „ჭყლეტაში დაღუპვის“ შესახებ საბჭოთა კავშირშიც „არ იმუშავა“. როგორც საკავშირო, ისე რესპუბლიკური ორგანოების მიერ მიტინგის აღმკვეთი ღონისძიებების მომზადებისა და განხორციელების დროს დაშვებულ სერიოზულ შეცდომებსა და კანონდარღვევებზე, მათ შორის, ცრემლსადენი გაზის სასიკვდილო რაოდენობით კონცენტრაციისა და დემონსტრანტებზე სასანგრე ნიშნებით თავდასხმაზე მოუთითა თავად სსრკ-ს სახალხო დეპუტატების ყრილობის 1989 წლის 9 აპრილის მოვლენების შემსწავლელმა საგამოძიებო კომისიამ.

დეპუტატ ანატოლი სობჩაკის ხელმძღვანელობით შექმნილ კომისიაში 24 ადამიანი მონაწილეობდა, რომელთა შორის იყვნენ სახელმწიფო და სამოქალაქო მოხელეები, მწერლები, არმიისა და ეკლესიის წარმომადგენლები 9 მოკავშირე რესპუბლიკიდან.

„დადგინდა, რომ სამხედრო ნაწილებმა გამოიყენეს მრავალი სახეობის „ჩერიმიუსა“, რომლის შემადგენლობაში ძირითადად შედის ცრემლმდენი მომწამვლელი ნივთიერება-ხლორაცეტოფენოლი (ქაფი). აგრეთვე გამოიყენებული იყო მეორე ძლიერი გამაღიზიანებელი ნივთიერება „სი-ეს-ი“. მას დიდი რაოდენობით იყენებდა ამერიკის შეერთებული შტატები ვიეტნამში. „სი-ეს-ის“ მოქმედება ორგანიზმზე იმდენად სერიოზულ გართულებებს იწვევს, რომ აშშ იძულებული გახდა მოეხსნა შეიარაღებიდან. აღმოუჩინეს ინვესის ის ფაქტი, რომ საბჭოთა სამხედრო ნაწილებმა „სი-ეს-ი“ სწორედ თავიანთი ხალხის წინააღმდეგ გამოიყენეს.“

9 აპრილს დაღუპულთა და დაზარალებულთა სამედიცინო გამოკვლევები არაფრით არ ეტყვა მხოლოდ მოცემულ მომხმარებელ ნივთიერებათა ფარგლებში. ავადმყოფებს შეენიშნებოდა ფსიქიკური მოშლილობა და ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანება სიკვდილის შედეგით. ამიტომ უყოყმანოდ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გამოყენებული იყო უფრო ძლიერი მოქმედი მომწამვლელი ნივთიერებანი, რომლებიც გარდაუვლად ბლოკირებენ ცენტრალური ნერვული სისტემის სპეციფიკურ რეცეპტორებს.“

„შინაგანი ჯარებისა და საბჭოთა არმიის ქვედანაყოფები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ ქატილობის 9 აპრილის მიტინგის დარბევაში, ყოველწარად ცდილობდნენ დასაბუთონ ვერსია, რომლის მოკლე შინაარსი ასეთია: შინაგანი ჯარებისა და არმიის ქვედანაყოფები შემოვიდნენ თბილისში, რათა ძმური დახმარება აღმოეჩინათ ქართველი ხალხისათვის. ქართველ ექსტრემისტებს წამოყენებული ჰქონდათ ანტისაბჭოური მოთხოვნები, უნდოდათ ძალაუფლების ხელში ჩაგდება და საქართველოს კანონიერი მთავრობის დამხობა.“

იქმნებოდა რესპუბლიკის საარსებო მნიშვნელობის ობიექტების ხელში ჩაგდებას საფრთხე. გაკრული იყო ანტირუსული ლოზუნგები. კარგად განვითარებული, ორგანიზებული ადამიანების ჯგუფები აღწევდნენ სანარმებში, აჩერებდნენ ასობით და ათასობით ადამიანის მუშაობას, პარკებში აბრუნებდნენ სამგზავრო ავტობუსებს, ამხსვრევდნენ მინებს, აღვივებდნენ შფოთს. იქმნებოდა რესპუბლიკის საარსებო მნიშვნელობის ობიექტების ხელში ჩაგდებას საფრთხე. როდესაც ჯარის ნაწილები 9 აპრილს, გამთენიისას მიუახლოვდნენ მთავრობის სასახლის



წინ მდებარე მოედანს, მათ დაინახეს გასისხლიანებული და დაჭრილი ქალები, რომლებიც ჯარისკაცებისგან მოითხოვდნენ შეველას, მაგრამ ისინი წაანყდნენ ქართველების მხრიდან სასტიკ ნინააღმდეგობას. ბევრ ექსტრემისტს ეკეთა აირნიანი ან პირი დოზაზღვრით ჰქონდა აკრული. მათ ხელში ეჭირათ აეროზოლისა და დიხლოფოსის „ბალონნიკები“. ქალებისა და უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების გადარჩენის დროს ჯარისკაცებს ესროდნენ ქვებს, ბოთლებს, რკინის ნაჭრებს... ათობით ჯარისკაცი დამკვდა და ა.შ.

როგორც ვხედავთ, თუ არმიისა და შინაგანი ჯარების ქვედანაყოფების ხელმძღვანელებს ვერწმუნებით, ქალები თვითონ ქართველ ექსტრემისტებს დაუბოცავთ, ხოლო თუ მამაკაცებიც დაიღუპნენ, ეს იმიტომ, რომ ისინი თავს ესხმოდათ ჯარისკაცებს. მომწამვლელი ქიმიური ნივთიერება ჯარს კი არ გამოუყენებია, არამედ ექსტრემისტებმა გამოიყენეს და ხალხიც ამიტომ მოინამლა...“

ბუნებრივია, იზადება კითხვა: რისთვის სჭირდებათ ცინიზმი შეზავებული ასეთი ყალბი ვერსია?

ასეთი ვერსია მათ სჭირდებათ, ვერ ერთი იმისათვის, რომ გაემართლებინათ იარაღის გამოყენება (იარაღი იგულისხმება როგორც ცენტრალური, ისე ცივი და მით უფრო ორლესული ნიშნები და მომწამვლელი ქიმიური ნივთიერებები). საქმე ის არის, რომ თუ მოქალაქეებს არავინ ესხმოდა თავს და მომიტინგეებს არ უნდოდათ მთავრობის ძალის გამოყენებით დამხობა, მაშინ, როგორც ეს დაწვრილებით იქნა ნაჩვენები, არმიისა და შინაგანი ჯარის ნაწილებს არც იარაღის გამოყენების უფლება ჰქონდათ. მეორეც, ეს საჭირო იყო იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინათ პასუხისმგებლობა დაზარალებულთა მთელი კომპლექსისათვის და მათ შორის აკრძალული ქიმიური იარაღის გამოყენებისთვის.

ყველაფრიდან აშკარად ჩანს, რომ მიზანი იყო არა მომიტინგეთა და მომომილეთა დამლა,

არამედ მათი დასჯა. ამაზე საკვებით სარწმუნოდ და უტყუარად მეტყველებს ის გარემოება, რომ მომიტინგეებს არ აძლევდნენ გაცევის საშუალებას, ხოლო მილიციის მუშაკებს, ექიმებსა და სანიტრებს [სამხედროები] დაუზოგავად ურტყამდნენ ხელკეტებს და ნიშნებს მხოლოდ იმისათვის, რომ ცდილობდნენ დახმარება აღმოეჩინათ უმწეო მდგომარეობაში მყოფი ადამიანებისათვის“.

სოსო პაიჭაძის ნაამბობიდან:
„ცხრა აპრილს, სისხამ დილით გავედი მთავრობის სახლთან. შემზარავი სანახაობა გადაემშალა თვალწინ: კბეებზე, ქვაფენილებზე, ქუჩებზე, მარადმწვანე ბუჩქებზე, ყველგან და ყველგან, რასაც მზერა სწვდებოდა, მიმოფანტულიყო ტანსაცმლის ნაგლეგები, ფეხსაცმელები, ძირითადად ქაღალდი, ქაღალდის ნაკუვნები, ერთმანეთში არეული, ალუფსული ხელჩანთები, ხელჩანთებიდან წამოყრილი სავარცხლები, პატარა სარკეები, ცხვირსახოცები; თავსაფრები, გაზეთების ნაფლეთები, დანაკუვნებული ქურთუკები, პარფიუმების ნაწმსვრევები, ნარგავანი ფერის ქსოვილის ნახევრები, ბიუტურია. ასფალტზე ჯერ კიდევ ჩანდა ვაგონიანი მანქანების მუხლებების კვალი, ქვაფენილებზე კი შემზარავად მზინავი სისხლის ლაქები. აშკარა იყო, აქ ურჩხულმა ჩაიარა, ბოროტების იმპერიის მიწაზეა, სტომაქი ამოიყრა და გასცილდა აქაურობას. ყველაზე მეტად სიმღერის ხმა აღიზიანებდა და შეკრებილთა შეხახილები, თავისუფლების უსაზღვრო რომანტიკით აღსავსე გულთა ფეთქვა, ამოუსხნელ ძაღს რომ გაემთლიანებინა. ამიტომაც სისხლმონწყურებულ და გაბოროტებული სასტიკად უსწორდებოდა იქ შეკრებილ ადამიანებს: ჩეხდა, ნამლავდა, კლავდა, ანადგურებდა, ბოლოს უღებდა. სარკის ნამცვეცები და შემხმარი სისხლის ლაქები უცბად სხივს ირეკლავდნენ. სივრცეს თუ მიაყურავდები, შეიძლება კაცს გაეგონა კიდევ კენესის, შეძახილის, ყვირილის, მთვრალ ნიწმოსანთა გინების შორეული ექო, რომელიც აქვე, ამავე პერში ჩაკარგულიყო და ახლა მათ ნაცვლად — მთელი ქუჩა, ქვაფენილები და კბეები, შერბობათა კედლები, მიმოფანტული ტანსაცმლის ნაფლეთები მთელი ხმით ყვიროდა...“

საქართველოს აღდგენილი დამოუკიდებლობა 32 წლისა. 1991 წლის 9 აპრილს, 12 საათსა და 30 წუთზე, უზენაესი საბჭოს საგანგებო სხდომაში მიღო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი, რომელსაც ხელი მოაწერეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და მთავრობის წევრებმა. ასე შეიძინა ორმაგი შინაარსი „9 აპრილი“, რომელშიც გაერთიანდა როგორც 1989 წლის 9 აპრილის სისხლი ჩახშობილი თავდადება, ასევე 1991 წლის 9 აპრილის ტრიუმფალური გამარჯვება. მეტიც, ამ ორ „9 აპრილს“ შორის მომხდარმა მოვლენებმა დიდწილად განაპირობა საქართველოს ისტორიის მომდევნო 32 წლის ლოგიკა: მოგადობულ წრეზე ტრაალი - ბრძოლა როგორც თავისუფლებისთვის, ასევე ერთმანეთთან შიდა დაპირისპირება.

მოამზადა
ინგა შილაშვილი

„თანამდებობა საკუთარი სურვილით დავტოვე“...

ოპოზიციური პარტიის ხელმძღვანელის ანა დოლიძის დედოფლისწყაროში ვიზიტს მერია გამოეხმაურა და ნიკოლოზ ჯანაშივილმა მის შენიშვნებს ვრცელი პასუხი გასცა.

ამის შესახებ გაზეთი „შირაქი“ წინა ნომერში ვრცლად წერდა. შემდეგ კი ანა დოლიძემ სოციალურ ქსელში დაწერა, რომ სოფელ არბოშიკის სკოლაში გაკეთებული მისი ვიდეორიანერის შემდეგ სკოლის დირექტორი თანამდებობიდან გაუშვეს და ეს მისი პატარა გამარჯვებაა. ეს ანა დოლიძემ 31 მარტს დაწერა, თუმცა გაზეთი „შირაქი“ ჯერ კიდევ 11 მარტს წერდა, რომ არბოშიკის სკოლის დირექტორს სამუშაო ვადა დიდი ხანია ამოეწურა და ის მოვალეობის შემსრულებლად დანიშნული იყვნ ასევე რამდენიმე კვირის წინ ვნერდით, რომ **მანანა ჭილიტაშვილს** არბოშიკის სკოლის დირექტორის პოზიციაზე კენჭისყრის უფლება აღარ ჰქონდა. ასე რომ, არათუ ანა დოლიძის სკოლაში შესვლის შემდეგ, მანამდე დიდი ხნით ადრეც ცნობილი იყო, რომ დირექტორი საკუთარ კანდიდატურას ვეღარ წამოაყენებდა და ამ სკოლაში დირექტორობის სერტიფიკატი სხვა პედაგოგმა, **ხათუნა მაქალაქაშვილმა** სამინისტროს მიერ დანიშნულ გამოცდებზე რამდენიმე



კვირის წინ მოიპოვა. ამდენად, დირექტორის გათავისუფლება ვერანაირად ვერ იქნება რომელიმე ოპოზიციონერის გამარჯვება, ან დამსახურება.
ამას გარდა, სკოლის ავარიული შენობების რეაბილიტაციის საკითხი განათლების სამინისტროში წყდება და საქორი სოლიდური დაფინანსებაც ზედა რგოლში უნდა მოინახოს. სკოლა თუ ავარიულია და ამ დრომდე არ გარემონტებულა, ამაში დირექტორის ბრალეულობა ყველაზე ნაკლებია.
ოპოზიციის ბრალდებაებს უარყოფს არბოშიკის საჯარო სკოლის ყოფილი დირექტორი მანანა ჭილიტაშვილი, თუმცა

დასტურებს, რომ გადადგომის შესახებ განცხადება დაწერა. მისი თქმით, იძულებას ადგილი არ ჰქონია და არც სამინისტრო ჩარეულა. 5 აპრილიდან დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად მოადგილე, **ზოია ბატიაშვილი** დაინიშნა.

მანანა ჭილიტაშვილი: „16 წელია სკოლის დირექტორი ვარ, ეს კი პატარა დრო არ არის. დიდი ხანია ვფიქრობდი ამაზე, ფსიქოლოგიურადც მომზადებული ვიყავი იმისათვის, რომ დასრულდა ჩემი ხელმძღვანელობის პერიოდი. კვალიფიკაციის დასადატურებლად ყველა ეტაპი გავლილი მაქვს. მათემატიკის საათები დამრჩება და მასწავლებლის პოზიციიდან გავაგრძელებ მუშაობას, ვრჩები ჩემს სკოლაში. გადადგომის შესახებ არავისგან მიგრობენია არა-თუ მოთხოვნა და ზენოლა, რაიმე ცუდი დამოკიდებულება. მისი პოსტი სოციალურ ქსელში არ მინახავს, თუმცა, იქ ისე ითქვა, თითქოს მე გამიშვეს, ან გადადგომა მომთხოვეს, რაც აბსურდია. არადა ყველამ იცის, რომ ვადაც ამომეწურა, ამ სკოლაში დირექტორის პოსტზე მუშაობის აღარც უფლება მაქვს და აღარც სურვილი. სიმართლე გითხრათ, ამ პოლიტიკოსის ჩამოსვლამ უფრო დააჩქარა განცხადების დაწერა. თუმცა, უახლოეს პერიოდში ისე-

დაც ვაპირებდი. ნამდვილად ჩემი სურვილით დავტოვე და სამინისტროში გავგზავნე, ოჯახური პირობების გამო მოვიტხოვე წასვლა. პასუხი უკვე მოვიდა და მოთხოვნა დამიკმაყოფილეს. არ მიფიქრია იმაზე, სხვა სკოლის დირექტორის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად წარვადგენ თუ არა ჩემს კანდიდატურას“.

ანა დოლიძის ვიზიტსა და სკოლის დირექტორის წასვლის ფაქტს შორის კავშირს უარყოფენ დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრშიც. გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას რესურსცენტრის ხელმძღვანელი მაკა ჯანაშვილი ამბობს, რომ ჭილიტაშვილმა თანამდებობა ოჯახური პირობების გამო, საკუთარი სურვილით დატოვა.
მაკა ჯანაშვილი: „რაც შეეხება ანა დოლიძის ვიზიტს, დირექტორის გათავისუფლებასთან ამას არანაირი კავშირი არა აქვს. დირექტორმა თავისი სურვილით დაწერა განცხადება. მე მხოლოდ ამის თქმა შემიძლია. მანანა ჭილიტაშვილმა განაცხადა, რომ ოჯახური პირობების გამო ეს გადაწყვეტილება ადრევე უნდა მიეღო. სამინისტროს პასუხიც უკვე მოვიდა და მისი მოთხოვნა დაკმაყოფილდა“.

ინგა შილაშვილი

საბრანტო პროგრამაზე ბიზნესიდეების მიღება დაიწყო

„ანარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მენარმეობის 2023 წლის საგრანტო პროგრამის ფარგლებში დაინტერესებულ პირებთან საინფორმაციო შეხვედრა დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლის დარბაზში 4 აპრილს გაიმართა. შეხვედრას უძღვებოდა „ანარმოე საქართველოში“ პროგრამის მენეჯერი გიორგი კვარაცხელია, რომელმაც დეტალურად ისაუბრა პროგრამის პირობებსა და მასში მონაწილეობის შესახებ.

მისი ინფორმაციით, 3 აპრილიდან მიკრო და მცირე მენარმეობის საგრანტო პროგრამაზე ბიზნესიდეების მიღება დაიწყო. საგრანტო პროგრამაში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს ნებისმიერ სრულწლოვან მოქალაქეს, რომელსაც სურს საკუთარი ბიზნესიდეის წარმატებულ საქმიანობად გარდაქმნა, ან არსებული ბიზნესის გაფართოება. პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია 300-მდე ბიზნეს საქმიანობის დაწყება და გაფართოება. გრანტის მაქსიმალური

მოცულობა 30 000 ლარს შეადგენს. თუკი მენარმე პირველად იღებს მონაწილეობას საგრანტო პროგრამაში, მისი მხრიდან განსახორციელებელი თანამონაწილეობის თანხა შეადგენს გრანტის თანხის არანაკლებ 20%-ს, ხოლო მაღალმთიან დასახლებებში არანაკლებ 10%-ს. არსებული ბენეფიციარის შემთხვევაში, ბენეფიციარის თანამონაწილეობა გრანტის თანხის არანაკლებ 50%-ით, მაღალმთიან დასახლებებში კი არანაკლებ 25%-ით განისაზღვრება.

პროგრამის ფარგლებში განისაზღვრა რამდენიმე პრიორიტეტი:

- ახალი ბიზნესის წამოწყება;
- ახალგაზრდა (29 წლის ასაკის ჩათვლით) მენარმე სუბიექტის მიერ ბიზნესის დაწყება/გაფართოება;
- ქალი მენარმის მიერ ბიზნესის დაწყება/გაფართოება;
- იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიერ ბიზნესის დაწყება/გაფართოება;
- შპს პირთა მიერ ბიზნესის დაწყება/გაფართოება;
- საარსებო შემწეობის მიმღები



ოჯახის წევრის მიერ ბიზნესის დაწყება/გაფართოება;

- სოფლად/მაღალმთიან დასახლებებში ბიზნესის დაწყება/გაფართოება;
- განთავსების საშუალებებსა და ტურისტულ სერვისებზე ორიენტირებული პროექტის განხორციელება.

*შენიშვნა: მნიშვნელოვანია, რომ წლებად კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლებელია 2020-2022 წლებში გამარჯვებულ და 2015-2018 წლების ორჯერ დაფინანსებულ ბენეფიციარებს.

პროგრამის ეტაპებია: ვებგვერდზე enterprisegeorgia.gov.ge ელექტრონულ პლატფორმაზე რეგისტრაცია და ბიზნესიდეის წარდგენა, ტრენინგი ზოგად მენარმეობაში, ბიზნესგეგმის წარდგენა, ბიზნესის განხორციელების ადგილის ინსპექტირება, გასაუბრება, ხელშეკრულების დადება, თანამონაწილეობის თანხის გახარჯვა, თანამონაწილეობის თანხის გახარჯვის მონიტორინგი, გრანტის გახარჯვის მონიტორინგი, დამატებითი ტრენინგები (არჩევითი), შემაჯამებელი მონიტორინგი. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში

ში წარმართა. დამსწრე საზოგადოების მხრიდან გაყვარდა ყველა ის კითხვა, რომელიც პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ ღონისძიებებსა და ეტაპებს ეხებოდა.

შეგახსენებთ, რომ ბიზნეს იდეების მიღება 27 აპრილამდე გაგრძელდება. თქვენი ბიზნესიდეის რეგისტრაციისთვის ეწვიეთ ვებპორტალს <https://grantsenterprise.ge/>. ბიზნესიდეის აპლიკაციის შევსების ინსტრუქციის ნახვა შესაძლებელია ბმულზე: <https://bit.ly/3nE1x3s>. პროგრამის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ვებგვერდს: <https://bit.ly/3TjYBVe>. ცხელი ხაზი - 15 25

პროგრამა ხორციელდება მთელი საქართველოს მასშტაბით. პროგრამის ფარგლებში 300-მდე ეკონომიკური საქმიანობის დაფინანსება შესაძლებელია. შეგახსენებთ, რომ პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს მიკრო და მცირე მენარმეებს, დაიწყონ ან განავითარონ საკუთარი ბიზნესი სახელმწიფოს მხარდაჭერით.



სოციალური საწარმოების საგრანტო კონკურსის შესახებ საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG) აცხადებს იდეების საგრანტო კონკურსს დაწყებული სოციალური საწარმოებისთვის. კონკურსში ჩართვა შეუძლია სასტარტო (Start-up) ეტაპზე მყოფ და ახალ სოციალურ საწარმოებს, რომლებიც საქართველოში დამატებით რესურსებს, რათა განახორციელონ ინოვაციური იდეები და შექმნან მდგრადი სოციალური საწარმო.

სხვადასხვა განმარტებით სოციალური საწარმო არის ბიზნესი, რომლის უპირველესი მიზანია სოციალური ხასიათისა და რომელიც ახდენს მოგების რეინვესტირებას, თემში ან ბიზნესში. ამ სოციალური მიზნების მისაღწევად, მისი მამოძრავებელი არ არის მოგების ზრდა მენილეებსა და მფლობელებისთვის. სხვა განმარტებით ეს არის ორგანიზაცია ან საწარმო, რომელიც ახორციელებს სოციალურ მისიას სამენარმეო, სარგებლის მომტანი სტრატეგიებით. სოციალური საწარმოს კრიტერიუმებია:

აპრიორი:

1. საქონლის წარმოება და/ან სერვისების გაყიდვა;
2. დამოუკიდებლობა ანაზღაურებადი სამუშაოს მიმართ;
3. ეკონომიკური რისკის გარკვეული ხარისხი;

სოციალური:

1. მკაფიო მიზანი, რომელიც ფოკუსირებულია საზოგადოების კეთილდღეობაზე;
2. ინიციატივა წამოწყებული და მხარდაჭერილია მოქალაქეთა გარკვეული ჯგუფის ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ;
3. პირადი (ან მენილეების) მოგების მაქსიმალურ ზრდაზე ორიენტირებული ორგანიზაციების გამორიცხვა.

მონაწილეობის მართვა:

1. დამოუკიდებლობის ხარისხი;
2. გადამწყვეტილებების მიღების ძალაუ-

ფლები, რომელიც არ არის დაფუძნებული კაპიტალის ფლობაზე;

3. საერთო გარემო, რომელიც უზრუნველყოფს დაინტერესებულ პირთა მაღალ ჩრთულობას.

სოციალური საწარმოს რეგულირება:

- * დასაქმების ხელშეწყობა;
- * სოციალური სერვისები;
- * მონყვლადი რეგიონების განვითარება;

*სხვა სფეროები: რეციკლირება, გარემოს დაცვა, სპორტი, ხელოვნება, კულტურა, ისტორიული მემკვიდრეობის დაცვა, მეცნიერება, ინოვაცია.

სოციალური მენარმეობისა და გამოცხადებული საგრანტო კონკურსის შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად 4 აპრილს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის ქალთა ოთახში საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე დეტალურად განიხილეს სოციალური მენარმეობის კონცეფცია და საგრანტო კონკურსის პირობები. საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა და დაინტერესებულ პირებს ინფორმაცია მიანდა საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) წარმომადგენელმა ქრისტინე კანდელაკმა, შეხვედრას ასევე ესწრებოდა სამოქალაქო განვითარების ასოციაციის წარმომადგენლები გიორგი ბოკერია და ლექსო ჭანკოტაძე.

შეხვედრას დედოფლისწყაროში არსებული სათემო ორგანიზაციების, საინიციატივო ჯგუფების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარმართა და საკმაოდ ინფორმაციული აღმოჩნდა დამსწრე საზოგადოებისთვის.

პროგრამის შესახებ

2021 წლის იანვარში, ევროკომისიის გენერალური დირექტორატის სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოებაზე მოლაპა-

რაკების საკითხებში (DG NEAR) ფინანსური მხარდაჭერით და ვენჩურული ფილანტროპიის ევროპულ ასოციაციასთან (EVPA) პარტნიორობით დაიწყო 56 თვიანი საერთაშორისო პროექტი სახელწოდებით „თანამშრომლობა დადებითი ცვლილებებისთვის - სოციალური მენარმეობისა და სოციალური ინვესტიციების განვითარება ეკონომიკური და სოციალური გაძლიერებისთვის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“. (Collaborate for Impact - development of social entrepreneurship and social investments towards economic and social cohesion in the Eastern Partnership), რომელსაც საქართველოში ახორციელებს საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG). პროექტის წამყვანი განმხორციელებელი ორგანიზაცია EVPA, ხოლო პარტნიორები: SILab Ukraine, EduHub, Ecovisio და Impact Hub Yerevan.

საგრანტო კონკურსის მიზანია მდგრადი და ინოვაციური სოციალური საწარმოების დაფუძნების ხელშეწყობა საინიციატივო ჯგუფებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის გზით. კონკურსს არ აქვს რეგიონალური შეზღუდვა. კონკურსის პირველი ეტაპი მოიცავს:

- იდეების კონკურსის გამოცხადებას;
- საინფორმაციო შეხვედრები და სემინარები დაინტერესებულ მხარეებთან;
- 8-10 საუკეთესო იდეის შერჩევა;
- კონკურსის მეორე ეტაპი მოიცავს:
- ინტენსიურ ტრე-

ნინგ-პროგრამას სოციალურ და ბიზნეს საკითხებზე;

- ბიზნეს გეგმის შედგენას ექსპერტების დახმარებით;
- საგრანტო კომისიის მიერ 4-5 საუკეთესო ბიზნეს გეგმის დასაფინანსებლად შერჩევა;

შეგახსენებთ, რომ საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღებისთვის სავალდებულოა მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსების მინიმუმ 10%-იანი ფინანსური თანამონაწილეობა. სოციალური საწარმოს განაცხადის ფორმის წარდგენა (ჩამოტვირთეთ თანდართული ფაილები) შესაძლებელია ელექტრონულად, ელ. ფოსტის საშუალებით, მისამართზე: social.enterprise.ge@gmail.com. განაცხადის გამოგზავნისას სათაურში მოუთხოვეთ: დაწყებული სოციალური საწარმოს იდეის განაცხადი; განაცხადის შეტანის ბოლო ვადა: 2023 წლის 20 აპრილი, 18:00 სთ.

გვერდი მოამზადა შუშუნა ყანაყვილიამ



9 აპრილის პირველი მუზეუმი დედოფლისწყაროში

დედოფლისწყაროში 9 აპრილის მემორიალთან მდებარე შენობა თავდაპირველად ავტოსადგურს ეკუთვნოდა, სადაც ბილეთები იყიდებოდა. 1980-იანი წლების დასაწყისში ავტოსადგური რკინიგზის სადგურის წინ გადაიტანეს, ეს შენობა კი უყურადღებოდ იყო მიტოვებული. შემდეგ 1985 წლიდან ფიროსმანის სახელმწიფო მუზეუმის ბავშვთა ნახატების განყოფილება განთავსდა და 5 წლის განმავლობაში ბავშვთა გალერეა მოქმედებდა. თბილისში, რუსთაველის გამზირზე დატრიალებული ტრაგედიის წლისთავზე, 1990 წელს 9 აპრილის მემორიალურ მუზეუმად გადაკეთდა. შენობის წინ მოეწყო სკვერი, დაღუპულთა სულის უკვდავსაყოფად დაიდგა მემორიალი. ქვეყანაში 9 აპრილის პირველი მუზეუმი სწორედ დედოფლისწყაროში გაიხსნა.

მამუკა ბაგიაშვილი (მუზეუმის ყოფილი ხელმძღვანელი): „პირველ წლებში 1500-მდე ნაბეჭდი ნაწარმი იყო, ამას გარდა, ნახატები მოჰქონდა სამხატვრო სკოლას, სხვა სკოლებს და პერიოდულად გამოფენებს ვატარებდით. 9 აპრილის მემორიალის გახსნისთანავე სახელწოდებაც შეგვეცვალა და მიუღიეს გამოფენა 9 აპრილს რუსთაველის გამზირზე დატრიალებულ ტრაგედიას დაეთმო. სტენდი მოვანყეთ, სადაც ტრაგედიის ამსახველი კადრები და გარდაცვლილ მომიტინგეთა ფოტოები გვექონდა გამოფენილი. სამინისტროს ხარჯით და ფიროსმანის მუზეუმის მონდომებით გარემონტდა შენობა, დიდი თანხა დაიხარჯა. მიტოვებული და მღრღნელების ბუდედ ქცეული შენობა ორჯერ გავარემონტეთ - პირველად როცა შევედით და შემდეგ, როცა 9 აპრილის მემორიალად გადაკეთდა. ბევრი ვიარე, რომ დაღუპული გმირების ნივთები მომეპოვებინა. ჩვენი რაიონიდან არაფერი დაღუპულა იქ, ამიტომ შევეძელი ეკა ბუჭანიძის ნაწარმების, მისი მუსიკალური სკოლის განათლების მონაწილეთა ჩამომეტანა. ასევე დამირიგებინა მისი ჩანაწერებაც. გახსნისთანავე ცუდი წლები დაგვემთხვა და ბევრი ვერაფერი შევეძელი. არც ხარჯები ფინანსდებოდა, რომ გვეარა, მასალების მოგროვებაც დამატებით გვემუშავა. ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან საუკეთესო მდებარეობის გამო ეს შენობა ყველას მოსწონდა და ბევრი მხრიდან ნაშრომად ხელნახდა. ყველა გზას მიმართავდნენ, იყო მუქარაც, ჩხუბიც, შემოთვალაც... თითქოს მოსახლეობა ითხოვდა, რომ იქ ისევ ავტოსადგური გახსნილიყო. ერთ დღესაც მამინდელი გამგებელი სოსო ხაჩიაშვილი, პოლიციის უფროსი გელა ჯალაღავალი თავს დაგვადგინა და შენობის დაცვა მოგვთხოვეს. ცხადია შევეწინააღმდეგეთ, მაგრამ სამი ქალი მათ წინაშე რას ვაკვებდებოდით. მალევე კულტურის მინისტრის მამინდელი მოადგილე ნიკა ვაჩიშვილი ჩამოვიდა დედოფლისწყაროში. მან ეს შენობაც დაათვალიერა და რკინიგზის სადგურთან მეორე შენობაც, სადაც გადასვლას გვთავაზობდნენ. როცა ვაჩიშვილი ეზოში, მემორიალთან გამოვიდა, გამგებელმა იქვე უთხრა, ეს შენობა გვეჭირდება და უნდა დაიცვალოს. მისგან გამოქონდა ვერ ვიგრძენით, მაგრამ რკინიგზასთან მდებარე შენობა რომ ნახა, უკმაყოფილო დარჩა. მას ფარები უნდა, იქ მუზეუმის შესვლა და გამოფენის მოწყობა არ შეიძლება, შეუფერებელი შენობააო. ყველაფრის მიუხედავად 2005 წელს შენობიდან მაინც გამოგვყარეს და არც იმ შენობაში შეგვიშვეს, რომელიც თითქოს შენობების გაცვლის შემდეგ რკინიგზის სადგურთან უნდა დაგვეკავებინა. ასე დარჩა ჩვენი ექსპონატები და თანამშრომლები დიდი ცის ქვეშ. მუზეუმში სადგური გაიხსნა, ჩვენივე განკუთვნილ მეორე შენობაში კი გამგებლის ნებართვით ფქვილი იყიდებოდა. 2005-11 წლებში არ გაჩერებულვარ, სად არ ვიარე და რა არ ვცადე მუზეუმის აღსადგენად, მაგრამ ვერაფერს მივაღწიე. სხვა შენობის გამოყოფაზეც ბევრჯერ იყო საუბარი, მაგრამ ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა. 2012 წელს ცოტა ხნით შეგვიშვეს ჩვენს ყოფილ შენობაში, თუმცა არა მუზეუმის, არამედ საგამოფენო დარბაზის სახელით. გამოფენა ჰოლს და მარჯვნივ პატარა ოთახში მოეწყო, მარცხენა ოთახში ისევ ავტოსადგურის სალარო მუშაობდა და ძირითადად მგზავრები მოძრაობდნენ. ჩემთვის წარმოუდგენელი იყო ასეთ პირობებში მუშაობა. შენობა უყვებოდა იხსნებოდა და იკეტებოდა. მერე ფიროსმანის მუზეუმის მმართველად წელი გობეჯიშვილი დაინიშნა და ცოტა ხანში გამოფენა მან ჩამოიხსნა, „გაჩერ-

დი, სამსახურს დაკარგავო, ხომ ხედავ შენობით სხვები არიან დაინტერესებულნი.“ მე კი ვითხოვდი, ავტოსადგური და გამოფენა ერთმანეთის პარალელურად არ უნდა მუშაობდეს-მეთქი და ავტოსადგური გამოეხსნებინათ. მალე კულტურული მემკვიდრეობის სააგენტომ წერილი გამოგზავნა პოლიციაში, რათა მათ ბალანსზე არსებული შენობიდან სადგური გაეყვანათ. პოლიციამ უპასუხა, რომ სააგენტოს გამოგზავნა რწმუნებული, რომელიც გამოძარგების პროცესს დაესწრებოდა. სააგენტოს არავინ გამოუგზავნა არც პროცესი დაწყებული. პირიქით, მე მომიხსნეს ხელმძღვანელის სტატუსი და მეთვალყურედ გადამიყვანეს, რომ აღარ მეზრდოდა. ცოტა ხანი ვიყავით ასე ერთ ჭერქვეშ ორივე ორგანიზაცია. ხან გასაღები მომპარეს, ხან არ მიშვებდნენ და კარს მიკეტავდნენ, ხან გათბობა გამოთიშეს, იყო შეხლა-შემოხლა. პოლიციის გამოძახებაც ხშირად გვეჭირდებოდა. მალევე ჩვენი სამუშაო ფართი დავეცალე, რადგან შემეშინდა ექსპონატები არ მოეპარათ. ხელი-სუფლებაც შეიცვალა, მაგრამ 9 აპრილის მუზეუმის გადასარჩენად აღარავინ იბრძოლა. ვერც ანზორ მადარაშვილმა იბრძოლა სათანადოდ, ვერც ნელი გობეჯიშვილმა. 2015 წლის ოქტომბერში კი მომივიდა წერილი, რომ სააგენტომ უფადო ხელშეკრულება გამინყვიტა და მეთვალყურის შტატიც გამოქვამა.“

ანზორ მადარაშვილი „შირაქთან“ განმარტავს, რომ მაშინ ისეთი დრო იყო, ცენტრალურ, ან ადგილობრივ ხელისუფლებასთან საუბარს აზრი არ ჰქონდა, ამდენად წინააღმდეგობის განწევა არ უცდია. რევილუციის შედეგად ხელისუფლებაში მოსულ ძალასთან მუზეუმის შენარჩუნების თემაზე ვერ ისაუბრებდა, მითუმეტეს, რომ იმხანად პოლიციის უფროსი არც მუქარას ერიდებოდა. ნელი გობეჯიშვილი კი იმხანად განმარტავდა, რომ როცა შენობა დააცლევინეს, მუზეუმი მუნიციპალიტეტს არ ექვემდებარებოდა და რაიმე ქმედითი ზომების გატარების ბერკეტი პირადად მას არ ჰქონია. მისი თქმით, ავტოსადგურმა და მუზეუმმა შენობის ფართი კულტურის სამინისტროდან მიღებული წერილის საფუძველზე გადაინაწილეს.

დაპირისპირების მიუხედავად, ავტოსადგური შენობას ინარჩუნებს, თუმცა შენიშვნები მათაც აქვთ. მრავალი წელია ისინი შენობის გადახურვას ითხოვდნენ, რაც აქამდე ვერ მოხერხდა. ადგილზე მისულ „შირაქს“ შენობის ქვემო უკვე გადახურული დასვედა, გალავანებული გარე ფასადიც. ახლა იწყება უშუალოდ 9 აპრილის სკვერის განახლება.



პარლინალ ბაღაშვილი (ს.ს. „ტრანსპორტლის“ დირექტორი): „ამ შენობის რემონტი არასოდეს ჩატარებულა, მრავალი წელი ვითხოვდით, მაგრამ მიზანს ვერ მივალდით. საბედნიეროდ, ახლა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ლარიბაშვილის მიერ ინიცირებული პროექტის „განახლებული რეგიონები“ ფარგლებში მოხერხდა სარემონტო სამუშაოების ჩატარება. ყველაზე მთავარი ისაა, რომ ახლანდელ დასრულდა ქვრის გადახურვის სამუშაოები. ნების მანძილზე ძველი ქვრი იყო და ამ დრომდე წყალი ჩამოგვიდიოდა. მაღლიერი ვარ ამ პროექტის, მთლიანად გამოიცვალა ქვრი და განახლდა ფასადი, რომელიც ასევე მოძველებული იყო. დეკორატიული ფასადი გაგვიკეთეს. ეს პროგრამა რომ არ დაწყებულიყო ასეთი საფუძვლიანი რემონტი კიდევ დიდი ხანი ვერ გაკეთდებოდა. ფილები ვერ არ დაუგიათ, მაგრამ გეგმავთა მემორიალის

ტერიტორიაზე მისი განახლებაც. ძველი ქვები უკვე აყარეს და მალე გამოცვლიან. მრავალი წელია აქ ასეთი საფუძვლიანი რეაბილიტაცია არ ყოფილა. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს პროექტი მხოლოდ გარე სამუშაოებს აფინანსებს. გარედან რომ შეხედავ, მართლაც ლამაზია, მაგრამ ავტოსადგური ხომ ისეთი ობიექტია, სადაც სტუმარი და ტურისტები ყოველდღიურად მოძრაობს. როგორც კი შიგნით შევალთ, შიდა სივრცე ისევ ძველია. კედლები, იატაკი, შიდა ჭერი საშინელ მდგომარეობაშია. შიდა სამუშაოებს ეს კომპანია ვერ შეასრულებს, მეპატრონემ უნდა გაარემონტოს. ჩვენ ეს შენობა იჯარით გვაქვს აღებული, ყოველთვიურად 150 ლარს ვიხდით. ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან უნდა გამოინახოს თანხები ამ სივრცის გასაღებად, ან ჩვენ თავად უნდა



1990 წ. გახსნის ცერემონია

ჩავატაროთ კოსმეტიკური სამუშაოები საკუთარი შემოსავლებით. ჩვენი ორგანიზაცია კი მწირშემოსავლიანია. გსმენიათ, რომ დირექტორს 80 ლარი ჰქონდეს ხელფასი? შეიძლება ორი მგზავრი მოვიდეს, მაგრამ რეისი არ უნდა ჩავარდეს და მძლოლი მაინც მიდის, ზარალობს, მაგრამ დათქმულ დროს მიკრობეჭდული აუცილებლად გადის. თითქმის ყოველ ნახევარ საათსა და საათში სრულდება რეისი. მძლოლებსაც ნაკლები ინტერესი აქვთ ჩვენს საზოგადოებაში განვრცობდნენ და წესებს დამორჩილდნენ. ამიტომაც ბევრმა ამჯობინა ჩვენგან წასულიყო, ცალკე დამდგარიყო და დამოუკიდებლად შეესრულებინა რეისები. სხვა მხარეს დააყენებენ მანქანას და ასე მუშაობენ. კერძო ტაქსებიც დიდ კონკურენციას გვიწვევენ, სანავის სიძვირეც აისახება შემოსავლის შემცირებაზე. წლებია კაპიტლებზე ვმუშაობთ, ამიტომაც საკუთარი შემოსავლებით ვერ მოვახერხებთ შიდა ოთახების მონესრიგება. ტურისტები რომ შემოვიდნენ და ასეთ მდგომარეობას ხედავენ, ძირითადად შიგნით ვერ ჩერდებიან და გარეთ გამოდიან ეზოში. მაგრამ ზამთარში ხომ ვერც გარეთ გავლენ და იქ უნებურად მგზავრებს მოცდა. დამეთანხმებით, ეს შენობა რაიონის სახეა, სტუმრე-

გვირგვინით შეამკეს მემორიალი,“ – წერდა 1990 წლის 12 აპრილის „შირაქი“.

9 აპრილის პროტესტად რა ხდებოდა ნითელწყაროში, ამის შესახებ ჩვენი არქივი ბევრს არაფერს ინახავს. რამდენად იყო საპროტესტო მუხტი ადგილობრივ ახალგაზრდებში, ამის შესახებ ცხადია ლიად არ



თქმულა. იმ დღეებში „შირაქი“ გამოვიდა 8, 11 და 13 აპრილს. არცერთ ნომერში არცერთი სიტყვა არ არის ნათქვამი მიტინგის, დარბევის, მსხვერპლის თუ დასახიჩრებულების შესახებ. თითქოს არაფერი მოხდებოდა. მხოლოდ 15 აპრილის ნომერში გვხვდება 9 აპრილის ტრაგედიის შესახებ ორი პანანა წერილი, ისიც სოფელ ჯაფარიძისა და ნითელწყაროდან შესული მოქალაქეების მიერ დაწერილი მიმართულება და არა სარედაქციო მასალა. წერილის ავტორები არ ამართლებენ აქციის

მონაწილეთა ანტისაბჭოთა პათოსს და მიანიშნებენ, რომ ახალგაზრდობა ნააქვზეს. „ტრაბაძიის ლატრიალამისტიკის და მოზარდების შვიდწლიანი შუამავისტიკის არაფორმალური გაერთიანების ლიდერებს პასუხი უნდა მოეთხოვროთ, მათთან ერთად იმართაც, ვინც დამოპრატინას გაუმართლმებელი მითმოდებით გაუსწორდა. ჯარისკაცებმა ხელი აღმართეს დამონსტრანტებზე, ეს თავისთავად არ მოხდებოდა. ამაში წვლილი იმუქვითი ექსტრემისტთა ჯგუფს, რომელიც ახალგაზრდობას აძულებდა, ანტისაბჭოთა ლიზუნებას სთავაზობდა და მათაც, ვინც ტრაბაძის საშვი მისცა. ყველას თავისი უნდა მოეთხოვოს“ - წერდა „შირაქი“ 1989 წლის 15 აპრილს.

ცნობილია ის ფაქტი, რომ წინა დღეებში სოფელ ჯაფარიძეში, პროფტექნიკური სასწავლებლის სტუდენტები გეგმავენდნენ და აორგანიზებდნენ მიტინგზე გამგზავრებას და ლოზუნგების მხარდაჭერას. როგორც მშობლები „შირაქთან“ ახლა იხსენებენ, მათ აფრთხილებდნენ, რომ შეილები თბილისში არ გაეშვათ.

ალა ჩხაიძე: „ჩემი შვილი დათო ჩხაიძე, რომელიც აფხაზეთის კონფლიქტს ემსხვერპლა, ჯაფარიძის ტექნიკუმში სწავლობდა ტრაქტორისტ-მემანქანის პროფესიას. როცა თბილისში პარლამენტის წინ აქციები დაიწყო, ბავშვები შეკრებილან და დაუგეგმათ სამშობლოს სიყვარულისთვის მიტინგზე წავიდეთო. ამის გამო ტექნიკუმში კრებაზე დაგვებარეს და მშობლებს გამოვიცხადეს, რომ ბავშვები მიტინგზე წასვლას გეგმავენდნენ, იქ კი ვითარება უკონტროლო და სახიფათო იყო. გვეთხრეს, ნუ გაუშვებთ ბავშვებსო. აღმოჩნდა, რომ მშობლებმა არაფერი ვიცოდით. ტექნიკუმში რომ მივედი, ბავშვები ეზოში იყვნენ, დათოს გარშემო გოგონები ჰყავდა შემოხვეული და შენობაში ისე შევედი, ვერ დამინახა. 8 აპრილს სახლში რომ მოვედი, ჩემოდანი გაემზადებინა, ტანსაცმელი ჩაელაგებინა, რათა პარლამენტთან დარჩენილიყო. მეუბნებოდა: „დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში, სადაც სხვები არიან, მეც იქ უნდა დავდგე“. ბავშვებს მშობლები წინ აღუდევით და შევარჩეთ. შემდეგ გავიგეთ, რომ სასტიკი დარბევა მოხდა და ამდენი ახალგაზრდა შეწირა. მაშინ გადავრჩით, მაგრამ სამ წელი ისევ სამშობლოს სადარაჯოზე წავიდნენ, ამჯერადაც გავვეპარნენ და თავი ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას შესწირეს. ერთი ბლოკნოტი ჰქონდა, სადაც ჩანოდა: „კაცმა ისე უნდა იცხოვროს, თავისი სახელი და კვალი სამუდამოდ დატოვოს!“ – ასეც მოხდა, წინასწარმეტყველებად ექცა ეს ფრაზა.“

მოამზადა ილია მარტყოფილიძე

დედოფლისწყაროელი „რკინის ბიჭი“

სოფელ სამრეკლოში მცხოვრები ამ ოჯახის მძიმე ყოფაზე გაზეთი „შირაქი“ 5 წლის წინ წერდა. ოჯახის ორივე ზრდასრული წევრი შშმ პირი იყო, მცირეწლოვანი ბიჭები კი ასაკთან შეუფერებელ სამუშაოებზე დადიოდნენ და ლუკმა-პურს ასე შოულობდნენ. ვითარებას ისიც ამძიმებდა, რომ სოციალურმა სააგენტომ მათ საარსებო შემწეობაც შეუწყვიტა, რითაც ჭამაშვილების ოჯახი შემოსავლის გარეშე დარჩა. 13 წლის ილია ხატიაშვილი მაშინ ამბობდა, რომ კიკბოქსინგზე ვარჯიში უნდოდა, მაგრამ უსახსრობის გამო შეჯიბრებებზე გამგზავრებას ვერ ახერხებდა, ვარჯიშების გაცდენაც ხშირად უწევდა, რადგან სხვადასხვა სამუშაოებზე წასვლა უხდებოდა.

სტატის დიდი გამოხმაურება მოჰყვა. პრობლემის გაზეთში გაშუქების შემდეგ ოჯახის მდგომარეობით ჯერ ტელეკომპანია „რუსთავი 2“ დაინტერესდა და საკვირაო გადაცემაში ვრცელი რეპორტაჟი მიუძღვნა, შემდეგ სხვადასხვა სამოქალაქო აქტივისტები გამოეხმაურნენ. მათაც გააფრცხლეს ილია ხატიაშვილის შესახებ ინფორმაცია, თუ როგორ ცდილობდა ოჯახის დახმარებას და მძიმე სამუშაოებს ასრულებდა. ძველ ინტერვიუებში მოზარდი ასევე აღნიშნავდა, რომ ოცნებობდა სოფლის მეურნეობით დაკავებულიყო. საზოგადოების რეაქციაც შესაბამისი აღმოჩნდა და მათ დასახმარებლად იმდენი თანხა ჩარიცხეს, ილიას საქონელი უყიდეს.

ილია ხატიაშვილი: „ხალხის ნაჩუქარი საქონელი მალევე სრულად გაყიდეთ, რადგან პრობლემების გამო ფული



დაგვეჭირდა და სხვა გამოსავალი არ გვექნოდა. მერე პაპაც გარდაიცვალა. თუმცა, ვიმუშავე და საკუთარი ოფლით საქონელი ისევ ვიყიდევ. ცხვარიც მყავს, ძროხაც და ცხენებიც. ბოლო ხანს შეწყვეტილი საარსებო შემწეობაც ისევ აღგვიდგა. ხანდახან ჩემი უმცროსი ძმაც მუშაობს ხოლმე, მაგრამ ძირითადად ოჯახს მე ვინახავ. ჩემი ძმაც ვარჯიშობს, ადრე კიკბოქსინგზე დადიოდა, ახლა შტანგაზე გადავიდა“.

ილიამ ბევრი წვალების შემდეგ სპორტული მიზნები რომ აისრულა, ეს გასულ კვირას გახდა ცნობილი. ის სრულწლოვანი ახლახან გახდა და უკვე შეძლო პროფესიონალური ქამარი მოეპოვეთ. ის იმ ფონზე, რომ თანატოლების მსგავსად ის ოჯახური ტვირთის გამო სრულყოფილ ვარჯიშს ვერ ახერხებდა. გამარჯვებას მიადნია, თუმცა ეს მისი მაქსიმუმი არ არის, წინ კიდევ დიდი გეგმებია. გაზეთი „შირაქი“ დაინტერესდა, როგორ გავრძელებდა ამ ოჯახის ცხოვრებას და როგორია მოზარდის რთული გზა ჩემპიონობამდე. **ქალაქ თბილისში 2 აპრილს განმარტა პროფესიონალური ორთაბრძოლა ტაილანდურ კრივში, სადაც მოხანილოვას ილიაძენა რომორც ქართველი, ისე უცხოელი**

სპორტსმენები. დედოფლისწყაროს წარმომადგენელი ილია ხატიაშვილი და მწვრთნელი თამაზ ყარაგვიზაშვილი. ილიამ რთულ და დაპაბულ ორთაბრძოლაში, ძულათა აშკარა უპირატესობით დაამარცხა გამოცდილი მებრძოლი და გამარჯვება მოიპოვა. მას პროფესიონალურ ქამართან ერთად გადაეცა ფულადი ჯილდო 2000 ლარი.

„ილია საკმაოდ პერსპექტიული და დახვეწილი ტექნიკის მქონე სპორტსმენია, რომელსაც რინგზე დიდი წარმატებები ელის“ - აღნიშნეს მონაწილე მსაჯეებმა.

ილია ხატიაშვილის წარმატებით კი-




დედოფლისწყაროს კიკბოქსინგისა და ტაილანდური კრივის გუნდ „ჩემპიონი“-ს ანგარაშზე.

თამაზ ყარაგვიზაშვილი (მწვრთნელი): „ილიასთვის ყოველი დღე ფიზიკური მუშაობით იწყება. წინასწარ არ იცის სად აღმოჩნდება - მინდორში, ტვირთების დაცლაზე თუ მშენებლობაზე. მთავარია იმ რაოდენობის თანხა მოინაგროს, რომ ავადმყოფი დედისთვის წამალი იყიდოს და საკვები მიიტანოს ოჯახში. თუ ილბიანი დღე იყო და ადრე დაასრულა მუშაობა, აიღებს სპორტულ ჩანთას და კიკბოქსინგის და კრივის ვარჯიშებს მოახმარს დარჩენილ ენერჯიას. სპორტი ხომ მისთვის ჰაერით სავსეა. ძლიერი ნებისყოფით და ხასიათის სიმტკიცით ებრძვის ყოველდღიურ რუტინას...ღიმილიც არ სცილდება მის სახეს. უყვარს მეგობრები და ვაჟკაცურად შეუძლია მხარში დგომა და დახმარების განცხადება. შარშან, 2 აგვისტოს, „რინგის რანდების“ შეჯიბრისთვის ვემზადდებოდი.

ელიაობამდე ორი კვირა რჩებოდა. ილია, როგორც ყოველთვის სამუშაოზე დადიოდა და იმ დროს თვის აგროვებით იყო დაკავებული. საღამოს ვარჯიშზე რომ არ მოვიდა, მოგვიანებით დავეურთვე. აღმოჩნდა, რომ თვით დატვირთული მანქანიდან გადმოვარდა, ზურგზე დაეცა, ვეღარ გრძნობდა კიდურებს და სახლში ინვა. „არაფერია მას, თქვენ არ ინერვიულოთ, უკვე ვგრძნობ ხელ-ფეხს და მალე გამოვკეთდები. შეჯიბრის სიიდან არ ამომილოთ“ - მთხოვა. ერთი კვირის შემდეგ ილიამ ვარჯიში გაჭირვებით ჩაატარა. კიდევ ერთი კვირის შემდეგ კი დედოფლისწყაროს შეჯიბრზე ერთ-ერთი საუკეთესო ბრძოლა გამართა. თან გამარჯვებაც იხეიმა და გაახარა გულშემატივარიც. ასეთი ბიჭია ჩვენი ჩემპიონი... ცხვრის ფარას ჯვავახეთიდან ელდრის საძოვრებისკენ მწყემსად მოყვებოდა. ერთი თვე იყო გზაში. გვიან ღამით, როცა ცხვრის ფარას აბინავებდნენ, ისეებდა ვარჯიშს ორთაბრძოლებისთვის განკუთვნილი პროგრამით. მორჩებოდა და მომწერდა, „არ ინერვიულოთ, მაინც ვახერხებ ვარჯიშს“. ჩამოვიდა და მალე საქართველოს ჩემპიონატზე მოგებული ბრძოლებით გაგვახარა „რკინის ბიჭმა“. ახლაც, დეკემბრიდან მარტის შუა რიცხვებამდე ილია მწყემსად იყო წასული და იქიდან გვირეკავდა, გვენდა თუ როგორ უვლიდა ათეულობით ახლად დაბადებულ ბატყანს და თან როგორ ვარჯიშობდა. (ადრეული გაზაფხული ცხვარში ყველაზე საპასუხისმგებლო დროა). დაბრუნდა და ორ კვირაში, 2 აპრილს ტაილანდური კრივის პროფესიონალური ბრძოლის ჩემპიონი გახდა. „მებრძოლის ქამარიც“ მოიგო და საზოგადოების დიდი სიყვარულიც დაიმსახურა. მართლაც საამაყო ბიჭი ჰყავს ჩვენს სოფელს და დედოფლისწყაროს. უამრავჯერ მინახავს, ჯერ კიდევ ბავშვი, ძმასთან ერთად, როგორ დაყავდათ ავადმყოფი, პარალიზებული ბებია ეტლით სოფლიდან რაიონში. წლების განმავლობაში, ზამთარსა თუ ზაფხულში. ილია მხოლოდ 18 წლის ბიჭია და ახლა, ამ ასაკით იწყება ნამდვილი „დიდი სპორტი“... წარმატებები მას!

შეგახსენებთ, რომ ილია ხატიაშვილი მრავალი რესპუბლიკური ტურნირის ჩემპიონი და საქართველოს ჩემპიონატის ორგზის პრიზიორია კიკბოქსინგში.

ილია მარტყოფილი



აუტიზმის მსოფლიო დღე ზემო მარხაანში

2 აპრილი აუტიზმის ცნობადობის ამაღლების მსოფლიო დღეა. ზემო მარხაანის საჯარო სკოლაში სპეცმასწავლებლის, ეკატერინე წიქარიშვილის ორგანიზებით მერვე კლასის მოსწავლეებმა, მარიამ ქადაგიძემ და საბა კიკოლაშვილმა რესურს ოთახში წარადგინეს პრეზენტაცია „ავამაღლოთ აუტიზმის შესახებ ცნობადობა“.

მათ თანატოლებს აუხსენს, რომ აუტიზმი არის მდგომარეობა და აუტისტური სპექტრით ადამიანი საზოგადოების ღირსეული წევრია.



„ბილინმა“ რეზონანსი განიხილა

„ბილინმა“ რეზონანსის შესახებ განაცხადა - კომპანია „სელფის“ სახელით გააგრძელებს ოპერირებას. მობილური ოპერატორი დღეისთვის 1.3 მილიონ აბონენტს ემსახურება.

„ბრენდის გაჩენა განაპირობა კომპანიის სურვილმა, მიგვეცა მომხმარებლისთვის წვდომა ყველა იმ ტექნოლოგიურ გადაწყვეტაზე, რომელიც ადამიანების ცხოვრების ხარისხს აუმჯობესებს და უმარტივებს ყოველდღიურობას. შეიძლება ითქვას, რომ „სელფის“ შემთავებით მომხმარებელი საკუთარი სმარტფონის ყველა ფუნქციას სრულად იყენებს, რადგან „სელფი“ აბონენტს ყველაფერს, რაც მას სჭირდება, ერთდროულად სთავაზობს: კომუნიკაციის, ინფორმაციის გაცვლის, სწავლისა და პიროვნული განვითარების, მოგზაურობის, გართობისა თუ მუშაობისთვის საჭირო გადაწყვეტებს“- განაცხადა „სელფის მობაილის“ გენერალურმა დირექტორმა **პასილ ბარიშვილმა**.

მობილურმა ოპერატორმა ახალი ტარიფების ნაწილიც წარადგინა. მომხმარებლები ჩვეულებრივ შეძლებენ სარგებლობას მიმდინარე ტარიფებითა და პაკეტებით, რომლებიც უკვე ჩართული აქვთ და ავტომატური განახლებაც ძალაში რჩება.

სხვა პროდუქტებისა და მომსახურების სანახავად ენციეთ: cellfie.ge

სელფის ტარიფებისა და პაკეტების წაწილი ასე გამოიყურება:	სტარტი	მაქსიმუმი	მაქსიმუმი+	პლატინუმი
ტელეფონია				
მუსიკა				
სპორტი				
ფილმები				
ინტერნეტი	500MB	3GB	10GB	20GB
წი საკუთარ ქსელში	უღირსებდა	უღირსებდა	უღირსებდა	უღირსებდა
წი სხვა				
მაქსიმალური SMS	50	300	უღირსებდა	უღირსებდა
დირებულეზა თვეში	€3	€8	€12	€25

30 დღეში ინტერნეტ პაკეტები:	სტარტი	მაქსიმუმი	მაქსიმუმი+	პლატინუმი
ტელეფონია				
მუსიკა				
სპორტი				
ფილმები				
ინტერნეტი	4GB	15GB	35GB	100GB
დირებულეზა	€6	€10	€15	€20

მინატრევა

თამაზ უზუნაშვილი

მესამედ მოვიდა გაზაფხული და აღდგომა უშენოდ, ძმაო, ჩემი მოურჩენელი ტკივილი. რაც დრო გადის, უფრო მიჭირს უშენობა. შენ იყავი ჩემი ნუგეში, რაიმე პრობლემის წინაშე რომ დავდებოდი, მეტყობი - მე აქა ვარ - და პრობლემაც მოგვარებული იყო. არა მარტო მე, ყველა შენს დანატოვარს გვიჭირს უშენობა. როდესაც შენი მეუღლე ჩამოდის სოფელში, ეზოს, სახლ-კარს, მიმოავლებს თვალს და ჩუმად ამოიხრებს, ის კი იმის მიმანიშნებელია, რომ აკლიხარ ყველას და ყველაფერს.

ცხოვრება გრძელდება უშენოდ, იზრდებიან შენი შვილიშვილები, წარმატებული მოსწავლეები არიან. „მარომატ“ (მარის შენ ასე ეძახდი), რომელზეც ზრუნავდი და უფროს შვილიშვილად თვლიდი, მანაც წარჩინებით დაამთავრა სამხატვრო აკადემია. სოფელში შენი მოლოდინი აღარ მაქვს, ძმაო. ეხლა მე მოვდივარ ყოველთვის შენს საფლავთან. ეხლაც მოვალ ჩემსა და შენს ოჯახთან ერთად, დაგინებ სანთელს, მოგვეფერები, მოგილოცავ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს და უფალს შევთხოვ, დაგიმკვიდროს სასუფეველი იქ, სადაც მართალი განისვენებენ. მსუბუქი იყოს შენს მკერდზე დაყრილი მიწა, თამაზ!

შენი და ლამარა (ლოლო) უზუნაშვილი



ხელგარჯილობის წრე მხარეთმცოდნეობის მუზეუმში



ვილი. სხვა ყველა მოსწავლემ წარმატებით გაართვა თავი და ალლო მალე აუღო.

კონკრეტულად რას საქმიანობენ თქვენი მოსწავლეები?

– ხელოვნურ თექაზე ვმუშაობთ, თაბაშირზე, თიხაზე, ვასწავლით ძერწვას, აბლიკაციებს, ვქმნით ქვილთს, სადღესასწაულო მისალოც ბარათებს, ვკერავთ თოჯინებს. შექმნილი ნივთების ყოველწლიურად გამოფენა ხდება მუზეუმში. წრე



ჯგუფებადაა დაყოფილი და ისე ვმუშაობთ. ვმუშაობთ გობელენზეც. კვირაში ორი დღე გვაქვს, ორ-ორი საათი, ზაფხულის სეზონზე სამუშაოდ მეტი დრო გვაქვს. რა თქმა უნდა, ჩვენთან სწავლება უფასოა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ დაინტერესებულ პირებს რამეს დავაკლებთ. მთელი სულითა და გულით ვარ ჩართული სწავლების პროცესში და ყველანაირად ვცდილობ მაქსიმალური ერთობის მიხედვით გვერდით დავედგე, ზოგჯერ მასალებითაც მოვამარაგო ისინი. მინდა ყველამ დაიკმაყოფილოს ინტერესი და განვითაროს შესაძლებლობები.

სულ ქსოვდა. მან მასწავლა ქსოვაც, დაქსეფაც... უფრო ზუსტად რომ გითხრათ, შეკითხვები არც დამისვამს. ბავშვობისას ვიჯექი, ყურადღებით ვუყურებდი და ვითვისებდი. კარგად გამომდიოდა.

ბევრი ადამიანი სუვენირებზე დამოკიდებული, ამიტომაც ხელსაქმე შეგიძლიათ შემოსავლის წყაროდ ვაქციოთ. მე 90-იანი წლების რთული პერიოდი სწორედ ასე გადავლახე. საკმაოდ მაღალი შემოსავალიც მქონდა. ხევისურულ ფილმებს, საფულეებს, ჩანთებს, წინდებს, ქუდებს ვამზადებდი, თბილისის მაღაზიებში ვაბარებდი და წარმატებით იყიდებოდა. ჩემს მიერ შექმნილი ხურჯინები თურქეთშიც გაჰქონდათ. საკმაოდ დიდი მოთხოვნა წამოვიდა. დოლარი ჩვენთან ახალი შემოსული რომ იყო სწორედ დოლარებზე იყიდებოდა. მერე ჯანმრთელობის პრობლემები მქონდა და ვეღარ გავაგრძელებდი ხელსაქმე. ოჯახში კი, რა თქმა უნდა, ხელსაქმეს ყოველწლიურ ცხოვრებაში აქტიურად ვიყენებთ. წლები გავიდა და შვილიშვილებთან დავიწყე და შემდეგ სხვის შვილებთან გავაგრძელე.

ხელსაქმის უფასოდ შესწავლის მსურველებს დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ეპატიჟება. აქ უნარების განვითარებას მრავალი მიმართულებით შეძლებთ. რამდენიმე წელია მუზეუმში ხელგარჯილობის წრე არსებობს და ყოველწლიურად მასპინძლობს მათ მიერ შექმნილი ნივთების გამოფენას. შემოქმედებით წრეს მაცვავს ბოჭორიშვილი ხელმძღვანელობს, რომელიც თვლის, რომ ტრადიციული ხელსაქმის ნაწილი დავინყებინო საფრთხის წინაშეა და ახალი თაობა უფრო მეტად უნდა დაინტერესდეს.

მაცვავს ბოჭორიშვილი:

„უკვე 7 წელია ხელგარჯილობის წრე მოქმედებს. სხვადასხვა მიმართულებით საშუალოდ 25 მოზარდია განვერიანებული. ზაფხულში უფრო ნაყოფიერი პერიოდი გვაქვს, ვიდრე ზამთარში. ზოგადად მინდა ვთქვა, რომ ძალიან ნიჭიერი თაობა მოდის, კარგი ბავშვები არიან, არ მიჭირს მათთან მუშაობა. დიდი ინტერესი მოდის მათგან. წლების მანძილზე მხოლოდ ერთი შემთხვევა მქონდა, როცა ერთ-ერთმა ბიჭმა სათანადოდ შედეგი ვერ აჩვენა და თავადვე აღარ ჰქონდა ჩვენთან სიარულის სურ-

ვერსა, თუ პირიქით? – ბოლო წლებში კოვიდ-ჩაკეტილობის გამო იმდენად აქტიურები ვერ ვიყავით, სახლში ინდივიდუალურად სამუშაოდ პროდუქტიული პერიოდი იყო, მაგრამ სწავლებას და შეკრებას ცხადია, ვერ ვახერხებდით. ახლა ისევ დიდი ინტერესი წამოვიდა. პანდემიის შემდეგ ქარგვაც დავამატეთ და ამით უფრო სერიოზულად დაინტერესდნენ ბავშვები. უფრო ეფექტურად გამოსდით, თავისი ფანტაზიის მიხედვით ქმნიან, მართლა გამაკვირვებს შესაძლებლობებით. ვთავაზობდი სამუშაო იდეებს, მაგრამ ძირითადად თავადაც ჰქონდათ იდეები. ჯვარედინი ქარგვა და კომპოზიციები სჭარბობს. სამრეკლოდან და ხორნაბუჯიდანაც დადიან, მაგრამ სიმორის გამო ჭირს, ამიტომ ძირითადად ქალაქიდან დადიან. როცა წრე ამოქმედდა, ზრდასრული მსურველებიც დადიოდნენ, მაგრამ ახლა მხოლოდ მოზარდები გვყავს. ძალიან მინდა დიდებულებს სწავლობდნენ და მოზარდებიც, დავინყებულ ტრადიციები როგორმე უნდა აღდგეს და შევინარჩუნოთ. მაგალითისთვის: აღარ იკერება



ხელსაქმე თინეიჯერებში მოთხოვნაა, უბრალოდ, ხელისშემშლელი ფაქტორია მასალების სიძვირე. უბრალოდ ძაფიც რომ იყიდოს ბავშვმა, ესეც საკმაო თანხებს უკავშირდება და მასალების სიმცირე არ გვაძლევს საშუალებას უფრო აქტიურები და პროდუქტიულები ვიყოთ.

როგორ განვსაზღვრავთ შემოქმედებით წრის გახსნის იდეა?

– ჩემს 4 წლის შვილიშვილს სახლში მოზაიკა შევასწავლე, კედლის სურათებს ვაკეთებდით, მუშის ნატეხებითა და ფერადი ქვებით ბევრი ნამუშევარი შევქმენით. მერე ხატვაზეც გადავედი.

მოგვიანებით ძერწვაც ვცადეთ. 50-მდე ნამუშევარი რომ დავკვირვებდა მუზეუმში გამოფენა მოვანყეო. საკმაოდ დიდი დაინტერესება მოჰყვა და მოწონება დამისახურა. სწორედ ამ გამოფენის შემდეგ განვსაზღვრე მუზეუმშივე გახსნილიყო ხელგარჯილობის შემსწავლელი წრე. მალევე დავინყეთ მუშაობა და დღემდე მოვედით.

თქვენ როდის და როგორ დაინტერესდით ხელსაქმით?

– დედამიმი ფშაველი იყო და



მოგვიანებით ძერწვაც ვცადეთ. 50-მდე ნამუშევარი რომ დავკვირვებდა მუზეუმში გამოფენა მოვანყეო. საკმაოდ დიდი დაინტერესება მოჰყვა და მოწონება დამისახურა. სწორედ ამ გამოფენის შემდეგ განვსაზღვრე მუზეუმშივე გახსნილიყო ხელგარჯილობის შემსწავლელი წრე. მალევე დავინყეთ მუშაობა და დღემდე მოვედით.

უ ლ ო ც ა ვ ე ნ ! ბ ე ლ ა ქ ა დ ა ბ ი ძ ე ს !



ჩვენი ბელა, რამდენი წელია ერთად მოვდივართ და მუდამ ასეთი გვახსოვხართ-ხალისიანი, ერთგული, ენერჯული, დაუზარელი და გვერდში მდგომი, სიკეთის მთვალე, კოხილი და კეთილი. რამდენჯერაც მოგვიმართავს რჩევითი-უარს არასოდეს ამბობს, პირიქით, გიხარია კიდევ, თუ შენი ცოდნა და გამოცდილება ვინმეს ნაადრევად. კარგად გესმის, რომ სამსახური მეორე ოჯახია, გვერდში მდგომის იმედი თუ არა გვაქვს, მისი გაცემის და დახმარების-იქ მთავრდება ყველაფერი. შენი სახით ეს თანადგომა ჩვენ არ გვაკლია, შეიძლება ვიკამათოთ, ხმასაც აუწიოთ, რაღაცამ ვერ შევთანხმდეთ-მერე რა, ეს ყოფითი მომენტია, ჩვენ ისევ თანამშრომლები ვართ, ისევე გვერდში ვუდგავართ ერთმანეთს.

სამსახურში ასაკს მნიშვნელობა არა აქვს, ესეც შენგან ვისწავლეთ. არავინ გარჩევია რანგისა და დამსახურების მიხედვით-ყველასათვის ერთნაირად გულისხმიერი და სათნო ხარ, ამიტომაც გვიყვარხარ. შეიძლება ყოველდღიურ ყოფით ურთიერთობაში ამას ვერ გამოვხატავთ, მაგრამ დავიჯერებ, ეს ასეა. ჩვენი ბელა იუბილარია! სულითა და გულით გილოცავთ, ძვირფასო, შენს დღეს, ჯანმრთელი და ბედნიერი გვენახე მუდამ, გახარებული და გამრავლებული შვილებში, შვილიშვილებსა და შვილთაშვილებში, ბედნიერი ღიმილით სახეზე, ხალისი და ენერჯია არ მოგკლებოდეს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია

ახალი გრაფიკი წყალზე

დედოფლისწყაროში სასმელ წყალზე გრაფიკი ამოქმედდა, ამის შესახებ ინფორმაციას გაერთიანებული წყალმომარაგების დედოფლისწყაროს სერვის ცენტრი ავრცელებს.

მათი განცხადებით, მუნიციპალიტეტში წყლის დებეტმა საგრძნობლად იკლო, რის გამოც კომპანია იძულებული გახდა, წყალზე ახალი გრაფიკი ამოქმედებინა, რაც ქალაქ დედოფლისწყაროსა და სოფელ ხორნაბუჯში წყლის მიწოდებას დღეგამოშვებით ითვალისწინებს.



ამინდი		დედოფლისწყარო	
ორშაბათი 10.04	სამშაბათი 11.04	ოთხშაბათი 12.04	ხუთშაბათი 13.04
დღე	ღამე	დღე	ღამე
16°	7°	17°	8°
18°	9°	18°	8°
15°	6°	15°	6°
16°	7°	16°	7°

გამომცემელი შპს „შირაქი“
 დირექტორი ნინო შიოლაშვილი
 რედაქტორი ილია მარტყოფლიანი

სარედაქციო კოლეგია: შუშუნა ჰანგაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მწეველი); ხათუნა ბანაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჰანგაშვილი (ოფის-მწეველი); მზინა ქანაძე (საქმის მწარმოებელი).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შპს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ☎ 0 356 22 22-85; 598 72-18-72 (დირექტორი) 593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, № 6 014-468.
 გაზეთის გამომწერა წელიწადში – 20 ლარი